3-47

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

1928 სახელგამი № 23

როგორ გავაღიდოთ ჩვენი „პიონერის“ ტირაჟი.

ამისათვის ბევრი რამ არაა საჭირო; ვცადოთ შემდეგი:

რგოლების ხელმძღვანელებმა უნდა:

1. ჩაატარონ რგოლებში საუბრები ჟურნალ „პიონერის“ როლზე ჩვენს ეროვნულ-დიდიურ საქმიანობაში.

2. მოეწყოს გამოწერა რგოლებში ისეთნაირად, რომ ბავშვებმა, რომელთაც ფული აქვთ, გამოიწერონ ჟურნალი, ხოლო ვინც ხელმოკლეა, მათთვის კოლექტიურად გამოიწეროს მთელმა რგოლმა.

3. მიეცეს ყოველ პიონერს დავალება განსაზღვრულ დროში შეასრულოს ჟურნალის გავრცელების დავალება შემდეგ ადგილებში:

ა) სკოლაში;

ბ) თავისი ეზოს ბავშვებსა და ნათესავებს შორის;

4. შემოწმებულ იქნეს, თუ პიონერები როგორ ასრულებენ რგოლის ამ დავალებას და დროს გასვლის შემდეგ მოხსენილ იქნეს რგოლებში ვინ ბავშის ანგარიში, თუ როგორ შეასრულეს მათ დავალება.

რაზმების საბჭოებისათვის აუცილებელია:

1. მოეწყოს რგოლების ხელმძღვანელების თანხმობით პიონერების მიერ „პიონერის“ გამოწერა არა ერთი თვით, როგორც ხშირად ხდება და რასაც არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, არამედ მთელი წლით.

2. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ხელმძღვანელებმა პიონერებთან ერთად გამოიწეროს ჟურნალი.

3. მოხსენილ იქნეს რგოლების ხელმძღვანელთა ანგარიშები, თუ როგორ მოათავეს გამოწერის კამპანია თავის რგოლებში.

ფოკოსტების პრეზიდიუმმა და მოწაფეთა კომიტეტებმა უნდა:

1. ჩაატარონ კამპანია ჯგუფებში და მოეწყოს მათ შორის კონკურსი.

2. განემარტოს, რომ „პიონერი“ არის ამავე დროს მოწაფეების ჟურნალი.

3. გამოიდებულ იქნას ყველა ჯგუფში ლოზუნგი „პიონერისათვის“.

4. ყოველ კვირას თვალსაჩინო ადგილზე გაკრულ იქნას ცნობები ხელის მოწერის მდგომარეობის შესახებ ცალკე ჯგუფებში.

5. ძიღწეულ იქნას, რომ მასწავლებლებმაც გამოიწეროს ჟურნალი „პიონერი“.

6. სკოლის აქტივს შორის გაიმართოს ხელმოწერა ჟურნალზე ერთი ან ნახევარი წლით.

თუ ყოველი პიონერ-ხელმძღვანელი, პიონერი, მასწავლებელი და მოწაფე ამ საქმეს სათანადოდ მოჰკიდებს ხელს, მაშინ ჩვენი ჟურნალის ტირაჟი გადიდდება, ჟურნალი გაიაფდება, უკეთესად დასურათდება და სხვ.

„პიონერის“ რედაქცია

შინაარსი

	გვ.
1. ბაბუას ნაამბობი — პ. სამხარაძე	2
2. პიონერების წერილი სოფლიდან — ი. ჭრელიშვილი	5
3. ა დ ა — ს. ერთაწმინდელი	6
4. გულადი ბიჭები — ს. მთვარაძე	9
5. ტფილისის პიონერები კულტურულ ლაშქრობაზე ედ. შმერლინგი	13
6. 10.000 კილომეტრი ქვეითად — ლ. ტ.	14
7. ყოფა ცხოვრების საკითხები პ. ორგანიზაციაში კ. მელაძე	15
8. მივხედოთ სოფლის ბავშვებს	16
9. ზანგები ადამიანები არ არიან	16
10. არის თუ არა სიცოცხლე მთვარეზე — ხანი	16
11. ცოტა რამ ყველაფერზე	17
11. ავიაციის პირველი ნაბიჯები — ა. ბელიაშვილი	19
12. ვულკანები — შ. თ—ლი	20
13. როგორ კეთდება წიგნი — თარგმ. თ. ჩერქეზიშვილისა	21
14. პიონერების ცოცხალი საქმეები	23
15. ცდები ნახშირეანგა აირზე — ხ. ს.	25

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა
329-153(05)
3-47
ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

პიონერი

1928
15 დეკემბერი

საქართველოს ბ. კ. ფ. ცენტრალური ბიუროს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან) და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი III
№ 23

ტფილისის პიონერები კულტურულ ლაშქრობაზე ლოზუნგებით: „მამავ, მიატოვე ლოთობა“

ბაბუას ნაამბობი

მოთხრობა

ზამთრის საღამო.

გარეთ თოვს... ქარი ქრის, აფორიაქებს ნამქერს და თეთრ კორიანტელად აყენებს ცივ, გაყინულ ჰაერში. აქა-იქ ისმის ძაღლების ყეფა და რომელიმე ქუჩაში მიმავალი დაგვიანებული მგზავრის გადაძახილი შემოტეული ძაღლების დასაშინებლად. ირგვლივ ტრიალებს ბუნების აურზაური, სტიქიის მძაფრი ზმუილი.

ტკბილია ამ დროს კერიაზე ცეცხლის ტკაცანი და ჩვენც, ბავშები, ვუზივართ ეხლა ამ ცეცხლს და შევხარით მას, შევტრფიალებთ. თან გულისფანცქალით და სიყვარულით ვუგდებთ ყურს ბაბუას, რომელიც აი აქვე ზის ცეცხლთან და გვიყვება სხვადასხვა ამბავს თავისი ცხოვრებიდან.

ბაბუას თოვლივით თეთრი თმა-წვერი აქვს. თვალები თეთრ ბანჯგვლიან წარბებ ქვეშ ღრმად აქვს დაყურსული. ფეხებზე ასხია ქალამნები და შემდეგ კიდევ მუხლამდე პაჭიჭები. ტანზე ძველი ჟღალი ჩოხა აცვია და ჩოხაზე კიდევ ძველის-ძველი თხის ქულაჯა აქვს მოცმული. ხშირად წევს ყალიონს. ყალიონის წევის დროს მუდამ იპურჭყება. ლაპარაკობს მძიმედ და დინჯად. ბაბუა, მისი სიტყვით, ადამის წლის კაცია, მაგრამ მაინც ჭარმაგობს. ხშირად ბიძაჩემთან ერთად მიდის ტყეში ან ყანაში და მუშაობს. მუშაობიდან დარბუნების შემდეგ ამ ბოლო დროს ხშირად ჩივის:

— ეჰ, ვგონებ, დაბერებული ვარ... რაღაც წელმა ტკივილი დამიწყო.

მაგრამ სამაგიეროდ ზამთრობით ბაბუა არ ჩივის წელის ტკივილს. არც ისეთი მძიმე სამუშაო აქვს. წავა მახლობელ ტყეში, მოსჭრის ერთ-ორ ტვირთ თხილის წნელს, მოიტანს შინ, გაშხვერთავს და შეუდგება სხვადასხვა კალათების და გოდრების წნას. გაკეთებულ კალათებს და გოდრებს ზოგს სახლში ტოვებს, სხვა კი მიაქვს პარასკეობით მახლობელ ქალაქის ბაზრობაზე და ჰყიდის.

ასე ცხოვრობს ბაბუა, მაგრამ, რაც თავიდათავია, ის მაინც ყველას საყვარელია და განსაკუთრებით კი ჩვენი, ბავშების.

და აი, ეხლაც, როცა ქარი და ნამქერი ზუზუნებს გარეთ, როცა კერიაზე ცეცხლი მხიარულად ტკაცანებს, როცა ბაბუას მუხლებთან მიწოლილი ფისუნია უდარდელად განაგრძობს ხან პირის ბანას და ხან კი კრუტუნს, — ჩვენ ვეხვევით ბაბუას მუხლებს და ვთხოვთ მოგვიყვეს რაიმეს თავისი ცხოვრებიდან.

ამ ჩვენ თხოვნაზე ბაბუა თავს ზევით აიღებს, პირიდან ყალიონს გამოიღებს, ერთს თავისებურად გადააპურჭყებს და დაიწყებს ასე:

— მოგიყვებით ამბავს, მაგრამ არა შორეულ, არამედ ახლო წარსულიდან. მეტად მწარე და ძნელია ამ ამბის მოყოლა ჩემთვის, იმიტომ რომ ჩემი სისხლის და ხორცის სიკვდილი და უბედურებაა შიგ ჩაქსოვილი. მაგრამ შენ, ჩემო ბიჭუნა, — მომმართა ბაბუამ, — აწი არც იმდენად პატარა ხარ, რომ არ იცოდე შენი დაობლების ამბავი. მაშ, მისმინეთ, ბავშებო!

სთქვა ეს ბაბუამ და თვალები აიბრიცა, ყალიონს ცეცხლი მოუკიდა და ასე ყალიონის ბოლებით დაიწყო:

— შენ მაშინ, ჩემო ბიჭუნა, მხოლოდ ერთი წლის თუ იქნებოდი. გლახა დრო იყო, მეტად გლახა. ჯერ იყო და მთელი ოთხი წლის განმავლობაში დედამიწის ყველა მეფე ებრძოდა ერთმანეთს და ჟლეტდენ ხალხს.

ბევრი ხალხი გაჟლიტეს იმ ურჯულოებმა, ბევრი. აი, ამ ჩვენი სოფლიდან ბარე ორმოცი კაცი კი წაიყვანეს ვიღაც გელვანიის წინააღმდეგ საჩხუბრად და ამ ორმოცი კაციდან ნახევარიც კი არ დაბრუნებულა შინ ცოცხალი. ვინც დაბრუნდა, იმათაც ზოგს ფეხი ჰქონდა მოტეხილი და ზოგს ხელი. გაჭირდა ცხოვრება. ხალხს არ ჰქონდა სიმინდი. სიმშილობამ ფეხი მოიკიდა. ან სიმინდი საიდან უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილიყო, როცა სახნავი მიწები არ გვქონდა. დღევანდელი ჩვენი სოფლის საუკეთესო სახნავ-სათესი მიწები სულ ჯიჯავაძეს ეკუთვნოდა. ჩვენ, გლეხობას, რაც მიწა გვქონდა, ისიც დაუთესავი გვრჩებოდა. ან ვის უნდა დაეთესა?! ახალგაზრდობა ომში იყო, და ჩვენ კი, მოხუცებს, აბა, რა შეგვეძლო. როგორც აქ, ჩვენში, თურმე ასეთი ამბები იყო ქალაქებშიც და რუსეთშიც. და, თურმე, მუშები, როცა ისე გაუჭირდათ სიმშილობისაგან, რომ სულს ძლივს ლაფავდენ, ადგენ და აჯანყდენ. აჯანყდენ და ერთი დაკვრით ჩამოაგდეს, თურმე, ძირს ნიკოლოზ მეფე. ეგონა ხალხს, აწი მაინც მიეცემოდა საშველი, აწი მაინც ამოისუნთქავდენ თავისუფლად, მაგრამ აჰ, პა, პა, პა, არ შეგეჭამოთ მეტი ჭირმა! თურმე უცებ ი ბურჟუაძეაა, თუ ვიღაცა, ისევ მოაჯდა ხალხს ზურგზე, და როცა ხალხი თურმე ყვიროდა: შეწყვიტეთ ომი, მოვკვდით სიმშილით, არ შეგვიძლია ამდენი გაჭირვების ატანაო, ბურჟუაძეა თურმე უყვიროდა მათ და უწყრებოდა:

— სუ, გაჩუმდით! ომი კი არ უნდა შევწყვიტოთ, უნდა გავაგრძელოთო. გელვანია, რათაც გინდა დაგვიჯდეს, უნდა დავამარცხოთო. — ამ დროს, თურმე, კიდევ რუსეთის გლეხებმა იდროკეს და მიესვენ მემამულეებს მიწების ჩამოსართმევად, მაგრამ, თურმე, იმავე ბურჟუაძეამ შეუტია გლეხებს ყაზახები და ე აჯანყებული გლეხები სულ ამოაწყვეტინა. აქაც, ჩვენს სოფლებშიც, ვცადეთ გლეხებმა რაღაცრაღაცები ჯიჯავაძის მიწების ხელში ჩაგდებლა, მაგრამ მიწების მაგიერ მაშინდელი კომისრისაგან კაი კაი მათრახები მივიღეთ ზურგზე და ჩვენც დავეტიეთ ჩვენს კანში. ამნაირად ნიკოლოზის მერე ბურჟუაძეა ისევ აწვალებდა მაინც ხალხს და ისევ ტანჯავდა მას.

მაგრამ ბოლოს რუსეთში თურმე თვით ამ ხალხმა დაიწყო ბრძოლა, როგორც პირველად ნიკოლოზის, ისე ეხლაც ამ ბურჟუაძეისაც ძირს ჩამოსაგდებად. ბოლშენიკურმა პარტიამ შეკრიბა, თურმე, თავის გარშემო მუშები, ჯარისკაცები და ღარიბი გლეხები და მოთხოვა ბურჟუაძეას: ომი შეწყვიტეო, გლეხებს მემამულეთა მიწები გადაეცეო და მუშებს პური მიეცეო!

მაგრამ ბურჟუაძეამ ბოლშენიკების ამ მოთხოვნას მხოლოდ სიცილი დააყარა. მაშინ, თურმე, გაგულისდა ბოლშენიკების უფროსი ლენინი და სთქვა: გიტირებთ ყოფას, თუ თქვენ ნებით არ იზამთ, მაშინ ჩვენ ძალით ვიზამთო. ადგა მაშინ ლენინი და უთხრა, თურმე, ხალხს: დაცხეთ ბურჟუებსო, და, მართლაც, ხალხმა, გიყვარდეს, დაცხო და დაცხო, თურმე, ბურჟუებს, დაამარცხა ისინი და თვით ჩაუდგა რუსეთს სათავეში. ლენინმა, თურმე, რავაც კი გახდა ქვეყნის უფროსი, მაშინვე, თურმე, გელვანიას შეუთვალა: შეგწყვიტოთ ომიო. მერე კიდევ ლენინმა, თურმე, უთხრა ხალხს: ვინც ხნავს და თესავს, მიწებიც მას უნდა ეკუთვნოდესო და, აი, გიყვარდეს, მიესვენ, თურმე, გლეხები მემამულეებს და მოცხეს, თურმე, მათ. გარეკეს სადღაც შორს, ევროპიაა თუ რაღაცა.

აქაც, საქართველოშიც, როცა ომი დასრულდა და სალდათებიც, ვინც გადარჩა, დაბრუნდენ შინ, შევესიეთ ჯიჯავაძის მამულს, მაგრამ ვაი, ჩვენ მაშინ დღე დაგვადგა; აქაურმა მაშენიკურმა მთავრობამ გამოგზავნა გვარდიელები და სუყველას ზურგზე ბოლი აგვადინა. ამნაირად ჯიჯავაძე ისევ ფარფაშობდა თავის უზარმაზარ მამულში და ჩვენ კი ისევ თვალცრემლიანი ვჩიჩქნიდით ჩვენს უვარგის და ხრიოკ მიწებს.

აქ ბაბუა შეჩერდა.... ყალიონს დაუპაპუნა, მაგრამ ვერ გააბოლა, ცეცხლი ჩამქრალიყო. ამის გამო დაიხარა, ნუგუზალით გამოქექა ნაკვერცხალი კერიიდან, წაატანა ხელი, ჩაიდვა ყალიონში. ისევ გააბოლა ყალიონი ბაბუამ და ისევ დაიწყო გაპურჭყება და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ისევ განაგრძო თავისი მოთხრობა:

— გაჭირდა ცხოვრება. სიმშილობა თანდათან ძლიერდებოდა. მთავრობა დახმარების მაგიერ მათრახებს გვიშენდა. ჩემი შვილი მაშინ, მამაშენი, ჩემო ბიჭიკო, — მომმართა ბაბუამ მე, — ახალი ჩამოსული იყო ომიდან. ხედავდა გლეხების მძიმე და აუტანელ მდგომარეობას და მუდამ დაღონებული და თავჩაქინდრული დადიოდა. ბოლო დროს საღამოობით გვიან-გვიან იწყო შინ დაბრუნება, წუხდა საბრალო დედაშენი (მისი დღე ნაკლული თქვენ, ჩემო ბიჭუნებო!), წუხდა. ხშირად უსაყვედურებდა: სად დადიხარ, სად ატარებ საღამოებსო. ჩემი შვილი კი, თედო, დუმდა. არაფერს არ ეუბნებოდა. მე კი ოუმცა სავსებით არა, მაგრამ მაინც ყურმოკრვით ვიცოდი, რომ თედო სხვა სალდათებთან ერთად კრებებს აწყობდა, სადაც რაღაც საკითხებს არჩევდენ, რაღაცისთვის ემზადებოდენ.

და ერთ დღეს, როცა ახალი გაზაფხულის დილა ალერსიანად უღიმოდა მიწას, და მიწაც, აბუჟბუჟებული ზამთრის თოვლისაგან, იწვევდა თავისკენ გლეხებს კავ-გუთნებით და ხარ-კამეჩებით, — ჩვენი სოფლის ბოლოში, აი იქ, დიდი ცაცხვი რომ დგას, აუარებელმა თოფიანმა ფარაჯიანმა მოიყარა თავი. ეხლა როგორც ჩემთვის და დედაშენისთვის, ჩემო ბიჭუნა, ისე მთელი სოფლისთვის ნათელი შეიქნა, თუ სად დადიოდა მამაშენი და რათ მართავდენ ფარულ კრებებს. ბებერი ვიყავი, ჩემო ბიჭუნებო, ბებერი, მაგრამ მეც, როცა გავიგე ეს ამბავი, ავდგა ლასდი და გავემართე მათკენ. მამაშენი, ჩემო ბიჭუნა, ჩემი სისხლი და ხორცი, დამდგარიყო მაღალ ქვაზე და ირ-

ეროვნული

გვლივ შემორტყმულ თოფიანსა და ულოფო ხალხს რაღაცას უქადაგებდა. დიდი ხმაური და ყრიამული იყო, მაგრამ შემდეგი სიტყვები მაინც გავარჩიე:

— ამხანაგებო და ძმებო, მიწა ჩვენია, ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს, ნებით თუ არ გვაძლევენ, ძალით წავიღოთ. ავჯანყდეთ, ძმებო, ავჯანყდეთ. — ამ სიტყვების თქმა და ხალხის აგრიალება ერთი იყო. აქა-იქ გაისმა ხმები:

— აბა, წავიდეთ, წავიდეთ!..

— რას უცდით?

— მაგენს თუ ვუყურეთ, მიწას მისდღემჩი ვერ ველირსებით.

— აბა, თედო, — შესძახა ერთმა ახოვანმა თოფიანმა ჩემს შვილს, — გაგვიძეხ, ჯიჯავაძის დედა დღეს უნდა ავატიროთ. კმარა, რაც გვწოვა სისხლი.

შეიარაღებულნი. გაჩაღდა ბრძოლა. აჯანყებულნი იბრძოდენ თოფებით და ხშირად თოხებით და წალდებითაც კი. მეშენიკურ ჯარებს კი აუარებელი ტყვია-წამალი, ზარბაზანი და ტყვიისმტყორცველი ჰქონდა.

და როცა იმ უწმინდურებმა უზარმაზარი ზარბაზნები დაუშინეს ჩვენს სოფელს, თავზარდაცემული სოფლელები დამფრთხალი ცხვრებივით აწყდებოდენ აქეთ-იქეთ და ისე ტიროდენ და ყივოდენ, რომ მათი საცოდაობით ცაც კი იწვოდა. აქა-იქ ხანძარი გაჩნდა და გადაიბუგა რამდენიმე გლეხის კარ-მიდამო და საცხოვრებელი. ჩვენი რაზმი, ჩემი შვილის თედოს მეთაურობით, იძულებული შეიქნა, რომ მტერს სოფელი მთლად არ გაენადგურებია, უკან, აი, იმ დაბურული ტყისკენ, კუხა-ონჭკურას

ლენ-რაიონის პიონერები კულტურულ ლაშქრობაზე.

ამნაირად ღელვა და ჩოჩქოლი თანდათან ზღვით მონაბერ ქარიშხალივით მატულობდა, ძლიერდებოდა, თედო რაღაცას მარტავდა, რაღაც გეგმებს აწყობდა, მაგრამ ხალხის აბობოქრებულმა ტალღამ ისიც ჩაითრია თავის მძვინვარე მორევში და ამნაირად ეს ხალხი, ზოგი თოფებით და ზოგი წალდ-ნაჯახებით შეიარაღებული, დაიძრა ჯიჯავაძის სასახლისკენ. მეც მინდოდა, ბიჭუნებო, გავყოლოდი მათ, მეც მინდოდა, მაგრამ, ეხ, ჩემმა ბებერმა ძვლებმა ვერ შეძლეს სიარული და იძულებული შევიქენი გულმოხარშული დავბრუნებულიყავი შინ.

იმ საღამოს გავიგე: ჯიჯავაძის ოჯახი სოფლიდან გაპარულიყო, ჩვენ ბიჭებს კი მთელი მისი მამული და კარ-მიდამო ხელში ჩაეგდოთ და შედგომოდენ მიწების გლეხებზე განაწილებას. თურმე, როგორც ჩვენს სოფელში, ისე იყო, თურმე, სხვა სოფლებშიც და მთელ მაზრაშიც. ხალხი ყველგან აჯანყებული იყო და ებრძოდა მემამულეებს. მაგრამ მაშინდელმა აქაურმა მეშენიკურმა მთავრობამ, თურმე, რავაც კი გაიგო გლეხობის ეს აჯანყება, გამოგზავნა ჯარი და გვარდიელები, თოფ-ზარბაზნებით

შუა რომაა, დაეხია. იდროვა მტერმა და მუცელგაბერილი პირსისხლიანი ჯიჯავაძის მეთაურობით შემოიჭრა სოფლად. ჯიჯავაძე ამაყად და გოროზად გამოჭიმული იყო თავის თეთრ რაშზე და გამხეცებულ თვალებს აქეთ-იქეთ დააგელებდა. ბოლოს ის მათრახის ტყლაშანით და მრისხანე სახით მოიჭრა ჩვენსას. მას თან ახლდა ვიღაცა ოფიცერი და რამდენიმე გვარდიელი.

— აი, ეს არის იმ ბუნტოვჩიკის ოჯახი, დასცხეთ მათ! — დაიღრიალა გამხეცებულმა ჯიჯავაძემ და ცხენი აი იმ კარებს მოაგდო.

მუხლთ მომეკვეთა, თმები ყალყზე დამიდგა. ტანმა ცახცახი დამიწყო. ვგრძნობდი, რომ უბედურება მოხდებოდა. მაგრამ მე ჩემი თავი არ მებრალებოდა, არა! მე მეცოდებოდა საწყალი დედაშენი. შენ მაშინ რამდენიმე თვის თუ იქნებოდი. დედაშენს კი კრიჭა შეკროდა და სარეცელზე მიწოლილ მომაკვდავივით აცეცებდა აქეთ-იქეთ თვალებს, თითქოს უნდოდა სადღაც გამქრალიყო, რაიმე საშველი ენახა.

პეტრე სამსონიძე.

(გაგრძელება შემდეგ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერების წერილი სოფლიდან

ჩვენგან მიიღეთ მხურვალე
სალამი ტკბილი, დიდია,
გისურვებთ ჩვენთან გაგედვათ
მტკიცე კავშირის ხიდია.

ჩვენ ვუერთდებით თქვენს რიგებს,
თქვენთან ვართ სიხარულითა,
შეეერთდეთ, შეეკავშიროთ
ჩვენი სული და გულია.

გვესტუმრეთ, ჩამოგვიარეთ,
გაჩვენოთ მინდორ-ველია.
ჩვენი ძვირფასი მშობლები,
მომკელ-მთესველი, მხვნელია.

ბაღ-ვენახებით ნაბური
სოფელი საყვარელია;
ყანა, ვენახი, ხეხილი,
მთების სერები ჭრელია.



პიონერები დასვენების დროს.

პასუხი ქალაქიდან.

მივიღეთ თქვენი წერილი
ტკბილი და საამურია.
უარს ვინ იტყვის მასზე, რომ
ჩვენც თქვენი ნახვა გვწყურია.

გიბრუნებთ სალამს მაგიერს,
აღსავსეს სიყვარულითა,
თქვენთან ვართ, ძმებო, ყოველთვის
პიონერული გულითა.

გავაბათ მტკიცე კავშირი,
არ გავახაროთ მტერია.
ჩამოდით, რომ ჩვენც გაჩვენოთ
ქალაქი მშვენიერია.

გასმინოთ ქარხნის გუგუნი,
განახოთ მანქანებია,
ჰაეროპლანის შუილი,
როგორც არწივის ფრთებია.

ვაშა ჩვენს კავშირს, სიმტკიცეს
და ჩვენს მომავალს დიადსა.
სწავლით და შრომით დავანგრევთ
ხალხის სიბნელეს, წყვდიადსა.

ი. ჭარელიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა.

I

— მთვარე ისე მოჩანდა ნილოსის სარკესავით ანკარა უბეში, თითქოს ციდან ჩამოვარდნილა ზვირთების აუზში საბანაოდო.

პალმები კი, რომელთა ჩრდილში, ნაპირ-ნაპირ, მიიპარებოდა პატარა ბიჭი, ქოლგასავით გადაშლოდენ მდინარის საიდუმლოებით მოცულ მიდამოს.

ნელი სიო ხანდახან თუ წამოეპარებოდა ხოლმე ანცი სისინით და შეარხევდა არეს, თორემ ისე დღის პაპანაქებით გადამწვარი უდაბნოდან ცხელი ჰაერის დენა სულს ხუთავდა.

ბიჭი ამჩნევდა თითქოს, რომ ვილაცა მოსდევს შორიახლოს ჩუმად, და ფეხს აუჩქარა.

ამ გაბედულ პატარას ეტყობოდა, რომ ამ გზაზე პირველად არ იყო და არც პირველად ასრულებდა ეხლა დავალებას.

უბეში ბარათი ედო.

ქალაქ ალექსანდრიის ხმელთაშუა ზღვის შხუილით ახმაურებულ ვიწრო ქუჩებს კარგახანია გასცდა და ქაირის შარაგზით ბილიკზე გადაუხვია.

ვილაცა მაინც მისდევდა, ამიტომ პირველ შეხვედრილ ნავშივე ისკუპა და მთვლემარე მენავეს მიაძახა:

— ადა!..

ასე ერქვა ბიჭს.

ეს სახელი კი ყველამ იცოდა მენავეებში, რომლებიც გაფრთხილებული იყვნენ ადრევე აჯანყებულთა მეთაურ აბულისაგან: როცა ამ სახელს გაიგონებდენ, იცოდენ, რომ ეს გაბედული ბიჭია, რომელიც აჯანყებულთა ბანაკის და ციხეში დამწყვდეულ აბულელთა შორის კავშირის გამბმელის მოვალეობას ასრულებდა.

მენავემ, რა თვალები მოიფშვნიტა და იცნო ბიჭი, გაულიმა და ნიჩბებს თამამად მოუსვა...

— რა იყო, ადა? რითა ხარ შეშფოთებული? ჰკითხა მან.

— ვილაცა მომდევს, ჩუმად, ძია, ვგონებ ჯაშუშია!.. — მიუგო მან.

II

— როცა ირაყრაყა, ადამ გადაუხვია ბამბის ყანებში.

უკან დასტოვა მდინარე ნილოსი ლამაზი სანაპიროებით.

გალმა დარჩა აგრეთვე ინგლისელი ჯარის ბანაკი, ჩალისფერ მინდვრის კალთებზე ღილებივით აბმული კარვებით.

ადა გაჰყვა ღელეს, სადაც უნდა შეხვედროდა, დანიშნულ ადგილზე, აბულიხ კაცს.

შორს გამოჩნდა შაქრისთავებივით აზიდული პირამიდები.

ლომივით გაწოლილი სფინქსი.

უდაბნო.

ლურჯ ცაზე ამოგორდა მზე.

ადა გაბედულად მიდიოდა წინ.

— შესდექ!..

მოესმა ადას მრისხანე ხმა, და პალმას ამოფარებული ვილაც უცნობი კაცი გადაეღობა წინ, თეთრ ჩალმაში, რომლის ცხენიც იმავე პალმაზე იყო გამობმული და ფრუტუნებდა, ტორებს ძირს სცემდა მოუთმენლად.

— რა გინდა, ძია?

— რა და, მომეცი აქ, რაც მოგაქვს... სად მიხვალ?.,

ხელი დაუჭირა...

— არაფერი არ მიმაქვს... დეიდასთან მივდივარ, სოფელში.

სცადა ადამ მისი გაცურება.

— ვის ატყუებ? ამოიღე ჩქარა!.. განა არ ვიცი, რომ ციხიდან აზიზ-ბაიმ და ნეჯეფმა წერილი გადმოგიგდეს გუშინ საღამოს. აბულთან მიგაქვს? შენ გეგონა სადმე გამისხლტებოდი, ნავზე რომ გამომასწარი? თუ ჩემ არაბულ ცხენს გაუსწრებდი და წინ ვერ გიყელებდი?.. მომე ჩქარა, თორემ...

შეუტია თვალების ბრიალით, მკლავი გადაუგრიხა და ხანჯალი ნახევრად ამოსწია ქარქაშიდან მჭარით.

ადას ტკივილისაგან კვნესა აღმოხდა, მაგრამ მაინც უარზე იყო.

ბევრი იბრძოლა, სცადა გაქცევა, მაგრამ ამაოდ. ლონიერ მკლავებს ვერ გაუსხლტა.

ვერც აბულის კაცი შეამჩნია თვალიერებით.

სცადა დაყვირება, მაგრამ უცნობმა ხანჯალი გულზე დაბჯინა.

— არ გაბედო დაყვირება, თორემ აქვე გაგათავებ! — დაემუქრა ის.

III.

ადა მიხვდა, ვინც იყო ეს კაცი...

მას ერქვა ზინზიბაი; ისიც აბულის რაზმში იყო ერთხანად, და რა აჯანყებულებმა აბული აირჩიეს მეთაურად და არა ეს, მას შემდეგ მტრობდა მას.

ის ინგლისელებმა მოისყიდეს.

შემთხვევით ნახა ადას მამამ, მებადურმა ქერამმა, რომ ზინზიბაი ინგლისელთა ბანაკიდან გამოვიდა.

ეს ამბავი მან გადასცა აჯანყებულთ, და ზინზიბაიმ მოჰკლა ის ჩასაფრებით.

ეს გაიგო ადამ და აჯანყებულებთან კავშირის გბბმა ითავა.

მას რომ შესძლებოდა, არ დაინდობდა მამის მკვლელ ზინზიბაის...

აჯანყებულებმა ზინზიბაის სიკვდილი გადაუწყვიტეს, რის სისრულეში მოსაყვანად ნეჯეფი და აზიზ-ბაი გაგზავნეს გადაცმულნი...

ისინი ელოდენ ზღვისპირა ყავახანაში, სადაც ის დადიოდა ხშირად, მაგრამ ვიღაცამ შეატყობინა მათი აქ ყოფნა და ზინზიბაიმ დააპერინა ინგლისის პოლიციას. ისინი მოთავსებულ იქნენ ადგილობრივ ციხეში..,

აჯანყებულნი ხომ იმიტომ გაიპრენ მთებში, რომ თავდადებული ეგვიპტელებისთვის მოეყარათ თავი და ეშიშვლათ ხმალი მათ ქვეყანაში ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ...

ზინზიბაი გაჯაშუშდა.

ინგლისელთა ოქრომ მოხიბლა, ზურგი აქცია აჯანყებულთ...

ამას ხელი შეუწყო მისმა პატივმოყვარეობამ, სულმდაბლობამ და აბულისადმი შურიანობამ.

— ჰმ!.. ვნახოთ, როგორ გაგათავისუფლებენ.

წარმოსთქვა ზინზიბაიმ კბილების კრაჭუნით, რა ადას ხალათი შემოახია, ბარათი წაართვა და ჩითვალიერება დაიწყო ნაწერის, რითაც აზიზბაი და ნეჯეფი ატყობინებდენ ამხანაგებს, რომ მათ ამ საღამოს ჩამოალრჩობენ და ასწავლიდენ, თუ როგორ შეიძლებოდა მათი განთავისუფლება, როგორ მისდგომოდენ ციხეს.

ზინზიბაის სახეს დაცინვა დაეტყო...

IV.

ის რომ ბარათის კითხვით გაერთო, ადა არ დაბნეულა.

ის აენთო ამის ავკაცობით და ფიქრობდა როგორმე გაქცეოდა და გადაეხადა მისთვის სამაგიერო მამის შოკვლისა და აჯანყებულთა ღალატისათვის.

მას ყველა ეს ამბავი სურდა მალე ეცნობებინა აბულისთვის.

ამ ფიქრში იყო, რომ ზინზიბაის ცხენი შენიშნა და მოულოდნელად დასწვდა იქვე ქვას და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაჰკრა თავში წერილზე დახრილ ზინზიბაის, რომლის შუბლზედაც დაეშვა შადრევანივით ამოხეთქილი სისხლის ნაკადები...

ის დაბარბაცდა, თვალთ დაუბნელდა და იქვე ფლატეს მიეყრდნო გონმიხდილი.

ადამ დასტაცა ხელი წერილს და გაქანდა ცხენზე შესაჯდომად, მაგრამ შეჩერდა.

— როგორ? ის აქ დავტოვო?! მან ხომ იცის წერილის შინაარსი და გადასცემს ინგლისელების შტაბს?!

გაიფიქრა ადამ და მიიჭრა ისევ ზინზიბაისთან.

ვიდრე ის გონს მოვიდოდა, ადამ მოხადა ჩალმა, გახია და ხელები უკან შეუკრა მაგრად, ცხენი მიიყვანა, ჩალმის მეორე ბოლო უნაგირზე გამოაბა, თოფი ტახტაზე ჩამოჰკიდა და შეჯდა ცხენზე, მათრახი გადაჰკრა... კარგა მანძილზე ათრია ასე გამობმული, ვიდრე ზინზიბაი გონს არ მოვიდა... ცხენი შეაყენა და გადასძახა:

— მამაჩემის მკვლელს და ამხანაგების გამცემს ასე მოუხდება. ადექ! გამიძეხ წინ!.. უკან არ მოიხედო, თორემ გაგათავე!..

ამ სიტყვებთან ერთად თოფის ტუჩი კისერზე მიაბჯინა, შეკრული წინ გაიგდო, მთებისაკენ.

ზინზიბაის მიწა რომ გასკდომოდა ეხლა დათან ჩაეტანა, ის ურჩევნოდა.

სირცხვილისაგან იწოდა, ბავშმა რომ დაიმორჩილა.

არ იცოდა, რა ექნა.

ო, რა სიამოვნებით აჩეხდა ის ადას ნაკუწ-ნაკუწად, რომ შესძლებოდა ეხლა!..

V.

— საით მიგყავარ? — იკითხა ზინზიბაიმ შემოუბრუნებლივ, რადგანაც თოფის ტუჩი კისერს არ შორდებოდა.

— ეგ მე ვიცი!.. იარე!.. — შეუტია ადამ.

— გამიშვი და, რამდენ ოქროსაც მთხოვ, მოგცემ!.. — შეეხვეწა ზინზიბაი, რა ვერც მუქარით გახდა რამეს და ვერც რაიმე სხვა მოახერხა თავის გასათავისუფლებლად.

— ოქრო შენ გიყვარდა და ამოგშხამდება!.. — მიუგო ადამ და წინ გაიგდო...

ამ ამბავს თურმე გორაკს ამოფარებული აბულის კაცი უყურებდა, ზინზიბაიზე თოფი მომარჯვებული ჰქონდა, თუ ვინიცობაა ადას რაიმე მოუვიდოდა, და რა გამარჯვებულ ბიჭს შემოეგება, სიცილს ვერ იჭერდა...

— ყოჩაღ, ადა!.. — შემოსძახა მან.

და, რა ისინი მიიყვანა ბანაკში და უამბო ამხანაგებს ადას გმირობაზე, აჯანყებულთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ყიჟინით ჰაერში შეათამაშეს ადა რამდენჯერმე.

— აი, ძვირფასო ძმებო, ასეთები რომ აღიზრდებიან, ესენი დაამთავრებენ ჩვენ მიერ დაწყებულ დიად საქმეს და განდევნიან მოძალადეებს ეგვიპტედან.

მიმართა აჯანყებულთ აბულმა და ბიჭი ხელში აიყვანა...

ამ სიხარულში, საღამომ მოატანა...

და, რა ზინზიბაის მხრებიდან ხმალმა მოაცილა თავი, რომელიც მაგიერზე ჩამოაგეს, გაისმა აბულის ბრძანება:

— ძმებო! ეხლა კი ამხანაგების დასახსნელად, წინ, იარ!..

და ცხენები დაეშვენ თავქვე.

აბულს გვერდით მისდევდა ადა ზინზიბაისეულ ცხენზე...

სეზმან ერთაწმინდელი

რუსი პიონერები კულტურულ ლაშქრობაზე. ლოზუნგები: „ალკოგოლიზმი სოციალიზმის მტერია".

ბუღაღი ბიჭები

მოთხრობა

I.

კარგახანია მოიპირქუშა სივრცემ და გაყინული თვალებიდან სპეტაკი ფიფქები გადმოყარა. გამუდმებით თოვს. ცივა. მიწის მრავალფერი ზედაპირი ერთიანად გათეთრდა. სოფლები სევდიანმა მდუმარებამ მოიცვა. გატკბა გავარვარებული ღუმელი და თბილი სარეცელი. დღისით ხანგამოშვებით ახმაურებს სოფელს მოგუნდავე ბავშთა წკრიალა ყიჟინა და ალვის ხის კენწეროზე შემომჯდარი ყორნის გულდასალევი ყივილი. იშვიათად, ძალიან იშვიათად მოისმის კუდამოძუებული ქოფაკების უხალისო ყეფაც. მუშახელი საქმეს სცდება და მეზობლები ერთმანეთს ართობენ ბაასით.

ამ დილით სოფლელმა გოგო-ბიჭებმა ვიწრო ორღობეში გუნდაობა გამართეს. შეიქნა წივილ-კივილი, გამარჯვებულის ყიჟინა და გულწარმტაცი სიმხიარულე. მშიშარებს მამაცები მასხარად იგდებენ. გაბოროტებული ზამთარი თითქოს ანჩხლდება და გუნდ-გუნდად ისვრის თოვლის ფიფქებს, მაგრამ ამაოდ! სიცოცხლე მაინც დუღს. გამოყრუებულ მიდამოებს ამხიარულებს დაუდგროშელი ბავშების ხმაური.

შარაგზაზე თოვლით შეპენტილი მხედარი გამოჩნდა. ფართე ეზოს წინ გაჩერდა და ხმამაღლა დაიძახა:

— ლადო!...

სათონეში ქოფაკი აღრინდა. მოგუნდავე ბავშებს მოსხლეტილი ბიჭი გამოეყო, მხედარს მიაშურა.

— აქა ვარ, ძია!.— გადაახტა აგროვილ თოვლს.

— ბიჭო, შენ აქ თამაშობ და ბიძაშენი კი გითვლის ჯერი მოგვაშველეთო!..—უსაყვედურა მან.

— არ ვიცოდი, ძია, თორემ საქმის დროს როგორ შეიძლება თამაშობა! ეხლავე მოვემზადები. წავალ!

მხედარი გაშორდა. ლადო კუნძზე შეხტა და თავის ძმას გაჰკიოდა:

— ვასო, ჰაი ვასო! აქ წამო, აქ!...

მოთამაშე ბავშებს კვლავ ერთი გამოაკლდა და ისარივით გამოქროლდა სპეტაკ თოვლზე. ძმები ერთად შეიყარენ. თამაშით აწითლებულმა სახეებმა დარბაისლური გამომეტყველება მიიღო. ოთახში შევიდენ და დედას განუცხადეს:

— ძიას ჯერი დაუბარებია. მოამზადე!..

— მერე, ვინ წაიღებს!?

— ჩვენ!..—უპასუხა ორივემ ერთად.

— თქვენ!? რას ამბობთ, შვილო, საშიშია! ამ გამოყრუებულ მინდვრებზე ან ნადირი შეგხვდეთ... ან კიდევ... რა ვიცი, პატარები ხართ!..

— შენ ხომ შინ რჩები, რისა გეშინია!? — ვაჟკაცურად სთქვა ვასომ.

— თქვენთვის მეშინია, შვილო!

— ჩვენთვის ჩვენ უნდა გვეშინოდეს!.. შენ მოამზადე! — ამაყად უპასუხა ლადომ.

დედას უცნაური სიხარულით აუტოკდა გული, ბავშების სიმამაცემ ყოველგვარი შიშის ბურუსი გაჰფანტა. მან მცირე ხნის შემდეგ ნაზი გრძნობით განცხადა:

— თოვლი დიდია. თქვენც ორნი ხართ. ერთი ცხენი ვერ აიტანს ჯერის ზიდვას. მეორეც იშოვეთ!.

ვასო სიხარულით გაქანდა მეზობლებში და ელვის სისწრაფით ჩამოურბინა ყველას. ცხენი ითხოვა და მოიყვანა. დედამ ორი ხურჯინი გატენა ახლად გამომცხვარი რბილი პურით.

ლადო და ვასო ტყუპები არიან და ორივენი ერთმანეთზე უკეთესი ყოჩაღები. მამა სამი წლის წინათ მოუკვდათ. ოჯახი მათ ანაბარას დარჩა. სხვებს ალოში შველიან და ერთ დღიურს ხნავენ ყოველწლივ. უმთავრესი მათი საცხოვრებელი წყარო-კი ათიოდე ძროხაა, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ მწყემს ბიძას ჩააბარეს. ისინი ზამთარ-ზაფხულს, რიგის თანახმად, ჯერს ჰზიდავენ ბინებზე, კუთვნილი ყველის, ერბოს და კარაქის მისაღებად. ძმებს ყოველთვის ახსოვთ დედის მიერ ხშირად ნათქვამი: „ძროხა რომ არ გვყავდეს, მშივრები დავიხოცებით!“.. და პატარები მოუთმენლად ელიან გაზრდას. საშინლად სწყურიათ თავიანთ საქონელს თვითონვე მოუ-

ᲐᲠᲝᲜ. Ო, რა კარგი იქნება გამუდმებით მინდვრებში სიარული, შორეულ იალაღებზე წასვლა და ათასგვარ ხიფათში ყოფნა, სადაც უშიშარი დაიმსახურებს ვაჟკაცის სახელს!

პატარები გაფაციცებით ამზადებენ ცხენებს. ამ თოვლიან ზამთარში 12-14 ვერსის გავლაც ტრიალ მინდვრებზე ხომ ვაჟკაცობაა!?

— მარდად, მარდად, ვასო! — ველარ ითმენდა ლადო.

— მზადა ვარ! შეჯექ!

ორივენი მოხდენილად მოახტენ ცხენებს და მინდვრისაკენ გაქუსლეს. იქ, ქვევით. მდინარის გალმა, ფარეხებია და მშიერი მწყემსები ელიან მათ.

II

ტრიალ მინდვრებზე ნიავი ზუზუნებს. ღრმა თოვლში ცხენები იფლობიან და ნაწვალებთ ხვითქი სდით. პატარა მხედრებმა გადაიარეს მდინარის ხიდი. გალმა, თეთრად დაგროვილ წოპ-წოპა გორებში შავი ლაქები გამოჩნდა.

— მივატანეთ! — თითი გაიშვირა ვასომ.—აგერ ბინები

— აჩუ!— შეჰკივლა ლადომ ცხენს. ორმა ბედაურმა ფაქიზი თოვლი დააჩოფურა. ხეობა გალიეს და თერდობს შეუდგენ. სერზე დაინახეს მომუშავე მწყემსები. ხის ნიჩბები ეჭირათ და თოვლს ხვეტდენ.

— შეხედე, ლადო! საქონელს უჭირს, ალბათ; თოვლს ხვეტენ, რომ ხმელი ბალახი მოხოხნონ, — სთქვა ვასომ.

— დიდი ზამთარია. მარტო თივა რას ეყოფათ! — უპასუხა მან.

მწყემსებმა დაინახეს მომავალნი და სამხიარულო ყიჟინა დასცეს.

— ვინც მოვიდენ, გაუმარჯოთ!..

— გაგიმარჯოთ...გაგიმარჯოთ!..—შესძახეს პატარებმა და ცხენებიდან გადმოხტენ. ტყავის ფაფახები დაიბერტყეს. ცხენები დამხვდურთ გ`დასცეს.

— რა მოგვიტანეთ!? — იკითხა ბიძამ·

— პური, ცოტა ღვინო და ქათმები!

— მაშ ვქეიფობთ ამალამ!.. აბა, ეხლა-კი მოუარეთ საქონელს და გადახვეტილ მიწაზე მორეკეთ, ცოტა კაჭახი მოჭამონ! — ბავშებმა ცქვიტად დაურბინეს ძროხას. მორეკეს. დამშეულმა საქონელმა ერთ წუთს მოაშავა დიდი კალოს ოდენა ადგილი. შავი მიწა აიჩეჩნა და ალაფდა. მცირე ხნით გადაღებული თოვლი ცას კვლავ ფიფქებად მოსკდა. ნაძოვნ მიწას თეთრი პეპელები ისე დაასხდენ, თითქოს კირი მოუყრიათო. დაბინდდა. მწყემსებმა ბინას მიაშურეს.

საქონლის სადგომი ფარეხი მიწაში გრძლად იყო გამოჭრილი. შუაში გაუთლელი მსხვილი ბოძები ისხდა და ზედ გრძელი საყვავე იყო გადებული. საყვავე იმაგრებდა კავებს და ფიჩხს, რომელსაც მიწა ჰქონდა ზემოდან დაყრილი. საერთოდ ფარეხი იყო გრძელი, დაბალი, ნოტიო, ბნელი და ყინვაში საოცრად თბილი. შუა ადგილას და სულ უკან სანათურები ჰქონდა ჭერს დატანებული, ამ სანათურებში კაცი გაძვრებოდა; თუმცა დიდ თოვლს თავისი სპეტაკი ქუდი დაეხურნა და ყოველთვის ბნელი უფრო დაებნელებინა. ფარეხის წინ მწყემსების საცხოვრებელი ბინა იყო და ცეცხლი ენთო გაუქრობელი. ბინის გვერდზე იყო შემოწნული ბაკი — ხბოებისათვის, სულ უკან—გომი ძროხისათვის.

მწყემსებმა ხბოები ბაკში შერეკეს, ძროხა ფარეხში. ძაღლებს სალაფავი აჭამეს. საქმეს შორჩენ. შექუჩდენ. ქათმები დაჭკლეს. ცეცხლი გააძლიერეს და კაპზე ქვაბი ჩამოჭიდეს. ერთმა ჩონგურს ჩამოჭკრა, გმირული შაირები დაშლერა. საჭმელი მოამზადეს. ივახშმეს. ხუმრობისა და შაირობის შემდეგ ბაასი გააბეს.

— უკუნეთი ღამეებია და სიფრთხილე გვმართებს. ამბობენ, ყაჩაღები დადიანო! — სთქვა ბიძამ.

— ყაჩაღები? პატარებს გული აუთრთოლდათ. ნეტავი ნახონ!

— გუშინწინ ღამ გალმა ბინებს დასცემიან. ძროხა წაუსხამთ, — განაცხადა ერთმა.

— ჩვენ ხანჯლების მეტი არაფერი გვაქვს! რას გავაწყობთ? იარაღი ამ დროს მისწრებაა! — უპასუხა მეორემ.

— ძიავ, ყაჩაღებს კი აქვთ თოფები? — იკითხა ვასომ.

— აქვთ, მაშა!

— აქვთ და წავართვათ! — რიხიანად განაცხადა ლადომ. ყველამ გაიცინა.

— მოიცა, შვილო, ჯერ პატარა ხარ, როცა გაიზრდები, მაშინ წაართვი! — გაეხუმრა ბიძა.

ბავშები გაოცდენ. ყაჩაღებიც ხომ ადამიანები არიან!? ეჰ, ის რალა სიცოცხლეა, რომ კაცს კაცისა შეეშინდეს!

— იცით, რა გითხრათ,—დინჯად სთქვა მოხუცმა მწყემსმა, — ჩვენ საკეთილოდ არ ვახსენეთ ყაჩაღები. დაწექით და დაიძინეთ. ძაღლებს ხმა მიეცით ფხიზლად იყონ. თითქოს გული უჩვეულოს გრძნობს.

ყველას შეაკრთოლა. ბავშებს გაეღიმათ.

— თქვენც დაწექით, პატარებო. დილით ადრე შინ წასასვლელნი ხართ!— ურჩია მათ ბიძამ. მიწვენ მწყემსები და ნაბდები მიიხურეს. სიჩუმე ჩამოვარდა. ფარეხის მდუმარებას ხბოების ზმუილი, საქონლის ცოხნა და პატრონების გულიანი ხვრინვა არღვევდა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ფ. მახარაძის სახელობის პიონერების კოლექტივი სამუშაოზე.

თოვლი შეუწყვეტლივ მოდიოდა კარში. ქოფაკები ფხიზლად ტრიალებდენ. ბინაზე ჭრაქი ჩაბჟუტდა და მინელდა. შუაგულს დანთებულმა ცეცხლმა მსუბუქ ფერფლ ქვეშ სასიამოვნოდ დაიწყო ციმციმი.

III

შუაღამე გადავიდა. თეთრი ფიფქები კვლავ გულუხვად სცვივა მძიმე ღრუბლებს. ნისლი ისევ შეგროვდა. დუმილს ათასში ერთხელ ახმიანებს სერზე მოსუნსულე მშიერი ნადირის ყმუილი და ხევში ტურების კნავილი. ადამიანი არსად ჩანს. უადამიანოდ ბუნება მკვდარი და ველურია. ღამე თვლემს, და თოვლი ისევ მოდის.

გორებ შუა ჩავარდნილ ხეობაში ხუთი აჩრდილი გამოჩნდა. ნაბდებ ქვეშ ისმოდა იარაღის ყრუ ხმაური. თოფების ლულები გოროზად ლაპლაპებს. ისინი მიდიან ფრთხილად და ღამის ნისლებს თვალით ჰხევენ. ბინებს მიუახლოვდენ, თოვლში გაწვენ და გაცურდენ. მწყემსები ღრმა ძილში არიან. ვინ იცის, როგორ ფერად-ფერად სიზმრებს ჰხედავენ! ერდოს წინ მწოლარე ქოფაკმა თავი წამოჰყო. აღრინდა. ერთბაშად წამოხტა და თავგამოდებით გადაეარა ღრმა თოვლში. მას სხვები მიჰყვენ. შეიქნა ძაღლების ყეფა და გნიასი. ბიძა დაფეთიანებული წამოხტა ფეხზე და ძაღლებს დასჭყივლა.

— არ გაუშო, ოსმან... ჰაუ... თეუუ... ძაღლები გაგულისდენ. ტაფობ ადგილზე გაიშალენ და მტერზე მიიწიეს. მოულოდნელად თოფი გავარდა. მას გახშირებული სროლა და გულის ამრევი ლანძღვა მოჰყვა. ძაღლები აწკავწკავდენ.

— ადექით! — შეჰყვირა ბიძამ, — ყაჩაღები დაგვესხენ.. ძაღლი მოგვიკლეს!.. მან ხანჯალი გაიძრო და ბინის კარებში გაიბოტა. მწყემსები ერთი-მეორეზე ელვის სისწრაფით წამოხტენ, კომბლებს ეცენ. ყველა მოემზადა. ბავშებიც ადგენ, ხბოების ბაკში შეცვივდენ და ფუჩინებში მიიმალენ.

— დაიჭი, ქედა.. ყურშა.. ოსმან!.. უკიოდენ მწყემსები ძაღლებს, მაგრამ ამაოდ! თოფის სროლა უფრო გახშირდა. ელვარე ცეცხლის ენა ბოროტ ტყვიებს დაუზარებლად გზავნის სასიკვდილოდ. რამდენიმემ ფარეხშიც გაიზუზუნა. ძაღლებიც შეშინდენ: ისინი ფარეხს უკან გულგამგმირავი ხმით აყმუვდენ. კარებთან თოფით ხელში ნაბდიანი კაცი გამოჩნდა. მას მეორე და მესამე მოჰყვა.

— დაადგე ხანჯალი! — შეჰყვირა ყაჩაღთა ბელადმა ბიძას.

— არასოდეს! — უპასუხა მედგრად მან.

— მოგკლავთ!

ბიძა იძულებული იყო ხანჯალი დაეგდო. ავაზაკები შიგნით შეცვივდენ და განკარგულება გასცეს:

— ყველანი აქეთ კუთხეში შეგროვდით და პირქვე დაწექით! მწყემსებმა ბრძანება შეასრულეს. ორი ყაჩაღი თავზე დაადგა მათ, ორმა ძროხას წამოურბინა ფარეხში, ერთი-კი განკარგულებას იძლეოდა.

— ეს იქნება ბელადი! — წასჩურჩულა ლადომ.

— ნეტავ ვინ არიან! — გაეხმაურა ვასო.

— ვერ ვიცანი. თავპირი შეუბურდნიათ!

— შეხე, ძროხები მიჰყავთ... ცხენებიც, ბიჭო, ცხენებიც!

— ნუთუ ვერაფერს ვუშველით!?

— რატომ, თუ კარში გაველით როგორმე! ორივენი ჩაფიქრდენ. გაინაბენ.

— იცი რა! — ერთბაშად ხელი სტაცა აღტაცებულმა ლადომ. — მოდი ჩუმად გავცურდეთ და უკან სანათურიდან ავძვრეთ!

— შენი ჭირიმე, რა კარგად იფიქრე!—კინაღამ შეჰყვირა ვასომ.

— სსსუ...—გააჩუმა ძმამ და პირზე ხელი მიაფარა. ისინი ამუშავდენ. ფარეხის უკანა ნაწილში საშინლად ბნელოდა. ბავშები ძირ-ძირ შეუმჩნევლად გახოხდენ და ამ სიბნელში ჩაიკარგენ.

— აქ უნდა იყოს, მგონი! — შეაჩერა ლადომ ძმა.

— ავიდეთ! — უპასუხა ვასომ.

ლადო მხრებზე შეადგა მას. ჭერზე ხელი მოუსვა. „დასწყევლოს ეშმაკმა, ყველგან მიწაა... მაგრამ არა, აი თოვლიც!“ მან თოვლს თავი აარტყა და ხელები გაჰყო. ფრთხილად ახოხდა ზევით და ფარეხის თავზე გაჩნდა. შემდეგ ძმას ხელი ჩამოაწოდა, ისიც მაღლა აიყვანა.

— როგორ მოვიქცეთ!?—იკითხა ლადომ.

— ჯერ აგერ იმ გორას მოვეფაროთ. გავიქცეთ! ორივენი მოკუზულნი გაიქცენ. ამ წუთს მათ მოესმათ ღამით კარში უჩვეული ძროხის გულგამგმირავი ბღავილი და ცხენების ჭიხვინი.

— ერეკებიან! მალე, მალე რამე ვუშველოთ!— სთქვა ლადომ და გორას ამოფარებულმა ძმა შეაჩერა. პატარა მამაცებმა წარბები შეიჭმუხნეს და თათბირი გამართეს.

— ქვის სროლა მაინც ვიცით! აქედან დავუშინოთ! — არჩია ვასომ.

— ეგ არ ივარგებს. თოფებით დაგვხოცავენ. ისევ იცი რა, აგერ ქვეით რომ გზა მიდის, ორ გორაკ შუა იჭრება. უსათუოდ იქით გარეკავენ საქონელს. ჩვენ იმ ადგილას ჩავესაფროთ, შევაგროვოთ ქვები და, როცა გამოივლიან, სეტყვასავით დავუშინოთ. ტყავის ტყაპუჭები და ქუდები გადმოვიბრუნოთ. ბანჯგვლიანები უთუოდ ალქაჯები ვეგონებით და... რა ვიცი, ეგებ გამოვიდეს რამე!..

— ო, ეგ ძალიან კარგია! დამაცადოს! ძიას რომ სიკვდილს ემუქრებოდა, იმ ავაზაკს შუბლში უნდა ვთხლიშო ქვა: თუ ძირს არ დავეც, რაღა ბიჭი ვარ!—სთქვა ვასომ და ორივენი გაეშურენ დასახელებული ადგილისაკენ, ნაფიქრის განსახორციელებლად.

(გაგრძელება შემდეგ)

ს. მთვარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის პიონერიები კულტურული ლაშქრობის მოსაწყობად გაეგზავნენ

ყველაზე პირველად ლენინის რაიონის პიონერები წავიდენ.

მთელ საბჭოთა კავშირში აწყობს კულტურულ ლაშქრობას სრულიად საკავშირო კომკავშირი. ბოლო ელება ათასობით მოქალაქეთა წერა-კითხვის უცოდინარობას, სასტიკი ბრძოლა წარმოებს ლოთობის, ლანძღვა-გინების წინააღმდეგ, ყოველგვარად ცდილობენ სიბინძურის, უსუფთაობის და უწესობის მოსპობას.

—ჩვენ კულტურულად უნდა ვიცხოვროთ! ყველანი გამოდით კულტურული რევოლუციისთვის საბრძოლველად! — გადმოისროლა ლოზუნგი სრულიად საკავშირო ა. ლ. კ. კ. ცეკამ.

ათასგვარ ღონისძიებას მიმართავს კომკავშირი, მას უკან არ რჩება ამ საქმეში არც პიონერთა მრავალრიცხოვანი არმია. რუსეთის თითქმის ყველა ქალაქში ძალიან დიდი მუშაობა ჩაატარეს პიონერებმა და განახორციელეს კულტურული ამოცანები.

კულტურული ლაშქრობის ტალღამ ჩვენშიც მოაწია, საქართველოს პიონერ-რაზმებიც გაიტაცა, აღუძრა ბავშებს მუშაობის დაწყების სურვილი, კულტურული ლაშქრობის შეერთებული ძალ-ღონით დაწყების წყურვილი.

გაჩაღდა მუშაობა. ყველა პიონერ-კოლექტივმა ვერ შესძლო ამ ლაშქრობაში უცბად მონაწილეობის მიღება, პირველი, ყველაზე დარაზმული პიონერები აღმოჩნდენ ტფილისის ლენინის რაიონის პიონერ-ლენინელები.

ბავშებმა კოლექტივებში, რგოლებში ჩაატარეს კულტურული ლაშქრობის სასარგებლო კამპანია. ლაშქრობის თითოეული პუნქტის შესახებ დაწვრილებით მსჯელობდენ, პიონერებს შემოჰქონდათ სულ სხვადასხვა სახის წინადადებანი.

— მე ჩემი ეზოს პატარა ბავშებს დავასწავლი წერა-კითხვას, — აცხადებს ერთი.

— მე კი უპირველეს ყოვლისა ჩემს ნათესავებს შევასწავლი წერა-კითხვას, — გაიძახის მეორე.

მესამე პირობას სდებს, რომ თავს დაანებებს ლანძღვა-გინებას, მეოთხე ამბობს, რომ აუკრძალავს მამას ლოთობას.

კრებებზე ოქტომბრელებიც გამოდიოდენ. ისინი არ კისრულობდენ „მძიმე“ ამოცანების შესრულებას, ყურს უგდებდენ პიონერების ლაპარაკს და თავისი წვლილი შეჰქონდათ კულტურულ ცხოვრებაში.

— ყოველდღე გავიწმენდ კბილებს მუსით!

— სუფთად ჩავიცვამ, ხელ-პირს ყოველთვის დავიბან ხოლმე.

ბევრგვარი იყო წინადადება და დაპირება. ყოველივე ამის შესახებ იყო სჯა-ბაასი, იწერდენ, კამათობდენ და, ბოლოს, გადასწყვიტეს: **გამოვიდენ ქუჩებში სადემონსტრაციოდ, აჩვენონ ხალხს, თუ რის გაკეთებას ფიქრობენ, საითკენ მიილტვიან, რას მოითხოვენ.**

გაჩაღდა მუშაობა. წყალში ხსნიდენ საღებავებს, აწებებდენ პლაკატებს, გაჩნდა ახალი სიტყვები, პიონერების მიერ გულდასმით ამოწერილი ახალი ლოზუნგები. დეკემბრის ერთ-ერთი კვირადღისათვის დანიშნეს დემონსტრაცია, ბავშები ემზადებოდენ, ცდილობდენ ეჩვენებინათ, რომ ისინიც, როგორც მთელი კომკავშირი, მიისწრაფიან კულტურული ცხოვრებისაკენ.

დილაადრიანვე მიაშურეს პიონერებმა შესაკრები პუნქტებისკენ რაიონის ყველა კუთხიდან. გაისმა დოლების, საყვირების ხმა; გამოჩნდა მაღლა აწეული პლაკატები. 2000 პიონერზე მეტმა მოიყარა თავი დანიშნულ საათზე. სახეგაბრწყინვებულნი, აღტკინებულნი დგებოდენ რიგებში ახალგაზრდა ლენინელები.

— ნაბიჯით იარ! — გაისმა ბრძანება, და პიონერთა რიგები დაიძრა, დემონსტრაცია დაიწყო.

ქუჩები აივსო პიონერთა რიგებით. ჩერდებოდენ გამვლელნი, კარებსა და ფანჯრებში მოჩანდა გაკვირვებული სახეები, დემონსტრაციამ მთელი რაიონი გამოაცოცხლა. პლაკატებზე არის ლოზუნგები, მოთხოვნანი, თხოვნები, დაპირებანი:

— ჩვენ კულტურული ცხოვრება გვინდა!

— მამა, ღვინით გვიშხამავ სიცოცხლეს!

— მშობლებო, ნუ იგინებით! ნუ გვრყვნით! — გაიძახოდენ კულტურული ლაშქრობის წევრების პლაკატები.

პირველად იხილა ტფილისმა ასეთი ლოზუნგები. დედები და მამები გაკვირვებულნი, გ ხარებულნი შესცქეროდენ თავის შვილებს. გულდასმით კითხულობდენ პლაკატებს, ერთმანეთს უზიარებდენ თავის აზრსა და შთაბეჭდილებებს.

ბავშებმა ველარ აიტანეს მეტი, მუშათა განაპირა უბნების ბავშები ალაპარაკდენ:

— ჩვენ კულტურული ცხოვრება გვინდა! თქვენ ნაშოვნ ფულს ღვინოში, სამიკიტნოებში ხარჯავთ, ჩვენ კი უწიგნოდ, უჟურნალოდ, უგაზეთოდ გვტოვებთ. დამთვრალნი ასტეხთ აყალმაყალს, გვცემთ. ყველა ბავშის სახელით მოვითხოვთ ხელი აიღოთ ლოთობაზე. მოდი კულტურულად ვიცხოვროთ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათეული პლაკატები გაამზადეს ბავშვებმა. მოთხოვნებს გარდა პიონერების პლაკატებზე დაპირებებიც იყო. ისინი პირდებოდნენ:

— წერა-კითხვის უცოდინარს ჩვენ ვასწავლით წერა-კითხვას.

პიონერ-რაზმში, სკოლაში შესვლის სურვილს აღვუძრავთ დაურაზმელ ბავშვებს.

— ჩვენს რაიონში კულტურულ ცხოვრებას დავიწყებთ.

პიონერების დემონსტრაცია ძალიან კარგად ჩატარდა. ის შეიქნა ტფილისის კომკავშირის კულტურული ლაშქრობის დასაწყისი. მშრომელთა ბავშვებმა პირველად აიმაღლეს ხმა, გამოვიდნენ პლაკატებით, განაცხადეს, რომ მათ სურსთ კულტურულად ცხოვრება, რომ მშობელ-ნათესავებმა ანგარიში უნდა გაუწიონ მათ მოთხოვნებს, რომ კულტურული რევოლუციის ინტერესები მათთვისაც ისევე ძვირფასია, როგორც საბჭოთა კავშირის მოსახლეობისთვის.

ახლა, დემონსტრაციის შემდეგ, თითოეული პიონერის მიზანი უნდა იყოს ენერგიული, გაღრმავებული მუშაობა. დარაზმულად უნდა მოჰკიდონ ხელი ბავშვებმა კულტურული ლოზუნგების ცხოვრებაში გატარებას. კულტურული ლაშქრობა დაიწყო, რაიონის პიონერებმა მაგალითი უჩვენეს, მათ ხმამაღლა განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ კულტურულ რევოლუციას.

შეუჩერებლივ, მტკიცედ უნდა გასწიონ წინ პიონერებმა, ისინი არ უნდა ჩამორჩენ კომკავშირელებს. წერა-კითხვის უცოდინარობას, ლოთობას, ლანძღვა-გინებას და სიბინძურეს — ყოველივე ამას ალმოფხვრიან, დასძლევენ პიონერები. ამისთვის საჭიროა მხოლოდ სურვილი, ნებისყოფა და პიონერების საერთო დარაზმულობა.

ედ. შმერლინგი.

10.000 პილომეტრი ქვეითად.

მოგზაურობა მოსკოვიდან დავიწყე 1926 წლის ზაფხულზე. გზაში მესამე წელი ვარ, მაგრამ სრულიად არ დავღლილვარ და თავს საუცხოოდ ვგრძნობ. სულ გავიარე 10 ათას კილომეტრზე მეტი. ბევრს ჩემი მგზავრობა მძიმედ და საშინლად ეჩვენება. მაგრამ ეს გაუგებრობაა. ყველაფერი დამოკიდებულია გაწრთვნაზე, გამძლეობაზე და სიმხნეზე. თუ მოგზაურობის პირველი თვე მძიმედ მოგეჩვენება, შემდეგ ბევრკილომეტრიანი გზა ადვილი გეჩვენება, კარგ ამინდში კი — მსუბუქი და სასიამოვნო. არის რაღაცა თავისებური სიმშვენიერე დიდი სივოცის დაძლევაში.

მე ვმოგზაურობ იმიტომ, რომ გავაუმჯობესო ჩემი ჯანმრთელობა და შევამოწმო ჩემი გამძლეობა და სიმხნეე. ამას გარდა მე მაქვს ძირითადი მიზანი ვნახო ჩემი თვალით ყველა ახალი და ნათელი მხარე ჩვენი დიდი საბჭოთა რესპუბლიკისა, ჩვენი ცხოვრების და ახალი ყოფის.

მე ვყოფილვარ მუშებს შორის და გლეხების თავყრებებში. მე ვინახულე რამდენიმე ასი ფაბრიკა, ათეული მსხვილი ქარხანა, ბევრი საავადმყოფო, სკოლები, კლუბები და ბევრი დაწესებულება-წარმოება და უნდა ვთქვა, რომ საბჭოთა კავშირი შენდება და ჩქარა ვითარდება. ამას მე ვამბობ არა როგორც ადამიანი, რომელიც ზის კაბინეტში, რბილ სავარძელში და სწერს ქარხნის, ფაბრიკის და სხვათა შესახებ. ყველაფერი ეს მე ვნახე საკუთარი თვალით მე გავიარე ტერიტორია მოსკოვიდან შავ, აზოვის და ბალტიის ზღვებამდე.

ზამთარში და შემოდგომაზე უკალოშოდ და უპალტოოდ ვმოგზაურობ. რასაკვირველია, მოუმზადებელი ტურისტისათვის ასეთი ცდა შეიძლება სახიფათო იყოს. ისისათვის, რომ თავი დააღწიო ავადმყოფობას, უნდა იძინო შეძლებისადა გვარად ფანჯარაგაღებულ ოთახში, ყოველდღე ცივი წყლით დაიბანო ტანი, ხოლო, რაც მთავარია, ბევრი ხანი იმყოფებოდე სუფთა ჰაერზე. პირადად მე გზაში აგერ მესამე წელი ვარ და არცერთხელ არ გავმხდარვარ ავად, მიუხედავად იმისა, ხომ არაერთხელ შემხვდა თოვლის ქარი, ხოლო შემოდგომის კოკისპირულ წვიმებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. მე მაქვს საკონტროლო წიგნში სოფლის საბჭოს თავმჯდომარის ჩაწერილი, რომ ძლიერ ქარიშხალში, როდესაც გლეხებიც კი ვერ ბედავდენ ცხენებით სადმე წასვლას, როდესაც ორ ნაბიჯზე არაფერი არ მოსჩანდა, — გავიარე 17 კილომეტრი. მაშინ იყო ძლიერი ქარი, ქარბუქი, და თოვლის სიღრმე მეტრზე მეტი იყო.

როგორც ყოველ მოგზაურობაში აუცილებელია თავგადასავალი, მე ვ ვადამხდა რამდენიმე საინტერესო შემთხვევა. ერთხელ აგვისტოში, უკრაინაში, საღამოს 7 საათზე მივედი სოფელში. მეორე სოფლამდე, ადგილობრივი გლეხების სიტყვით, 11 კილომეტრი იყო. გავითვალისწინე, რომ მე ამ მანძილს დაბნელებამდე გავივლიდი და ვავიმგზავრე. მაგრამ გზაში გამოირკვა, რომ მეორე სოფლამდე არა თერთმეტი, არამედ 20 კილომეტრია. არ მინდოდა დავრჩენილიყავ ღამის სათევად მინდორზე და მოვიკრიფე მთელი ძალა, რომ მალე მიმეღწია მიზნისათვის. მაგრამ მალე დაბნელდა. ცეცხლი აესად ჩანდა. მალე გავიგე ძაღლების ყეფა: მაშასადამე, საცხოვრებელი ადგილი ახლოა. გახარებულმა გავსწიე სიჩქარით და უცებ ჩავვარდი ჭაში. საბედნიეროდ, ჭაში წყალი მეტრზე მაღლა არ იდგა. იძულებული შევიქენი ყოველ წუთში ფეხები გადამეწ-გადმეწია, რომ სილაში არ ჩავფლულიყავ. ვცადე სტვენა, მაგრამ ჩემს სტვენას მარტო ძაღლები გამოეხმაურენ. ავანთე ელექტროფანარი, ჩამოვიკიდე გვერდზე და ხანგამოშვებით შევყურებდი ცას, ვარსკვლავებს და მოუთმენლად ველოდი გათენებას. გათენებისას ვიღაცა გლეხის ქალი მოვიდა ჭასთან წყლისათვის და რა დამინახა ჭრელ პერანგში, სასტიკად შეშინდა, „ალქაჯია", — წამოიყვირა და გაიქცა.

მალე შეგროვდა ხალხი და მოვიდა სოფლის საბჭოს თავმჯდომარე. ჩამოუშვეს ვედრო, ჩავკიდე ხელი, და ისე ამომიყვანეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მე ვსვამდი ცხელ ჩაის. ეს შემთხვევა ძალზე სასაცილოდ მეჩვენებოდა.

უნდა აღვნიშნო, რომ როდესაც ვათვალიერებდი პიონერთა კლუბებს, ყოველთვის მაკვირვებდა პიონერებს შორის ამხანაგური დამოკიდებულება და ურთიერთისათვის თავდადება, ეს კი მთავარია.

ლ. ტ.

ᲧᲝᲤᲐ-ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ.

დღეს ყოფა-ცხოვრების საკითხი მარტო კომკავშირის წინაშე კი არ დგას, ის მთელი თავისი შინაარსით პიონერთა ორგანიზაციაშიც უნდა შეიჭრას. მოზარდი ახალგაზრდობა ჩვენ აქედანვე ადვილად შეგვიძლია გარდავქმნათ და აღვზარდოთ კომუნისტური სულისკვეთებით.

ჩვენი პიონერი აქტიურად უნდა ებრძოდეს ყოველ მავნე გადახრას თავის ორგანიზაციაში. მილჩაკოვის*) მოხსენების ირგვლივ მიღებული რეზოლუცია „ხულიგნობის წინააღმდეგ“ შემდეგს ლაპარაკობს: „ხულიგნობის წინააღმდეგ უნდა ავამხედროთ ქალიშვილების საზოგადოებრივი აზრი და აგრეთვე უნდა მოვიზიდოთ ლოთობასთან საბრძოლველად პიონერებიც“. პიონერები დაუზოგავად უნდა ებრძოდენ ხულიგნურ მოქმედებებს მოზარდ ახალგაზრდობაში. ისინი მაგალითს უნდა უჩვენებდენ სხვა ამხანაგებს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ჩვენი ზოგიერთი პიონერები ეჭცევიან გადაგვარების გზაზე დამდგარი უფროსი ამხანაგების ზეგავლენის ქვეშ და იმსჭვალებიან მავნე სულისკვეთებით. ეხლა, პიონერებო, მოკლედ შევეხოთ მას, თუ რას უნდა ებრძოლონ პიონერები თავის რიგებში.

ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ყოველ ცრუმორწმუნეობას. ის ახალგაზრდები, რომლებიც მომწყვდეული არიან ცრუმორწმუნე ხალხის ზეგავლენის ქვეშ, ასეთი მდგომარეობიდან უნდა დავიხსნათ. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ამ წესს თვით პიონერი არღვევს. მოვიყვანოთ ამის მაგალითი: ერთ სოფელში პიონერთა კოლექტივი ატარებდა ანტირელიგიურ კამპანიას, სადაც მომხსენებლები პიონერებს მარტივად და გასაგებად უხსნიდენ ცრუმორწმუნეობის მავნებლობას. სხვა მომხსენებელთან ერთად ერთმა პიონერ-ორგანიზაციის წევრმა აღნიშნა, რომ „ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ცრუმორწმუნეობას, არ არის ჩვენთვის საჭირო ცისკარზე ხეტიალი“ და სხვა (ეს ხდებოდა აღდგომის წინადღით). მაგრამ ყოველ სიტყვაზე ყოველი ადამიანი პასუხისმგებელი უნდა იყო, ისე რაიმეს გაკეთება შეუძლებელია. ეხლა ვიკითხოთ, სხვისადმი წაყენებული ამოცანა როგორ შეასრულა ამ პიონერმა? გაისმა თუ არა გათენების ხანს სოფელში აღდგომის „ცისკრის“ მაუწყებელი ზარის ხმა, ეს ჩვენი პიონერი ყველაზე უწინ გაქცეულიყო იქ. ის გაასამართლეს ამისათვის თვით პიონერებმა და შესაფერი განაჩენიც გამოუტანეს.

ასეთი მოვლენები და გადახრები ჩვენს რიგებში ხშირია. მაგრამ ჩვენ ნუ დაგვავიწყდება ის გარემოება, რომ ყველა პიონერი ასეთი არ არის. ჩვენი პიონერები ფუქსავატობის წინააღმდეგ ბრძოლაში იარაღს არ ყრიან. ჩვენს ორგანიზაციაში ირიცხებიან ხშირად კომკავშირელი პიონერები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ცუდ მაგალითს უჩვენებენ ნორჩ პიონერებს. ეს ჩვენი უფროსი ამხანაგები პიონერთა დარბაზში ეწევიან თამბაქოს, ლაპარაკობენ ქუჩურ სიტყვებს და კედლებზე აწერენ ისეთ რამეებს, რაც ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია, აგრეთვე პიონერი მაგალითს უნდა უჩვენებდეს სასწავლებელში არაპიონერ მოწაფეს. პიონერების მიერ ყოველგვარი ლაქაკი რომელიმე პიროვნების მიმართ ყოვლად დაუშვებელია. არის შემთხვევები, როდესაც პიონერები თავის ხელმძღვანელს „ბატონო“-ს უძახიან, სასწავლებლებში ეს ხომ მასიურ ხასიათს იღებს. სიტყვა „ბატონო“ — ეს ხომ ძველი ყოფის ნაშთია. ჩვენ ხომ ახალი ყოფისათვის ვიბრძვით და ჩვენს რიგებში ასეთი რამეები არ უნდა დავუშვათ. აქ მებრძოლის როლი პიონერმა უნდა იკისროს. აგრეთვე ჩვენ უნდა ვერიდოთ ყოველგვარი აურზაურის ატეხას ქუჩაში და გლეხებთან. ხშირად ჩვენი პიონერები საღამო-წარმოდგენებზე აღღვევენ წესრიგს და სტეხენ ერთ ალიაქოთს. როდესაც სცენაზე მსახიობი გამოდის და მას უხდება თავისი მოქმედების გადატანა მძიმე პირობებში, ამ დროს ზოგ-ზოგ შემთხვევაში ჩვენი ორგანიზაციის წევრები სიცილს აყრიან. ეს ხდება უმთავრესად პროვინციებში. ამას ჩადის ის პიონერი, რომელიც ქუჩის და უსაქმო, მოლაყბე ახალგაზრდობის ზეგავლენის ქვეშაა...

ასეთი უსაქმური ელემენტები მრავლად მოგვეპოება როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ამისათვის ჩვენი პიონერები უნდა დაირაზმონ, ამოუდგენ გვერდში კომკავშირლებს და დაუზოგავად ებრძოლონ ხულიგნურ მოქმედებებს. არ უნდა შემოდიოდეს ქუჩური სიტყვები ორგანიზაციაში. ჩვენ უნდა ვუფრთხილდეთ აგრეთვე ისეთ სიმღერებს, რომელიც უზნეო ახალგაზრდობის საქმეა. ხშირად ვხვდებით, რომ ჩვენი ორგანიზაციის წევრები მღერიან ისეთ რამეებს, რაც გაცვეთილი სიყვარულისა და სამშობლოს ამბებს მოგვითხრობს.

ამის ნიმუშს წარმოადგენენ სოფლად მომღერალთა გუნდები. ამ გუნდებიდან მათ გადმოაქვთ ისეთი სიმღერები, როგორიცაა:

1. ჩიტო, გვრიტო, მარგალიტო,
   მეშინია არ ჩაგკვნიტო...
2. ბროლის ყელსა მოგეხვიე,
   ცრემლით უბე ამოგივსე.

მღერიან აგრეთვე ჩვენი ზოგიერთი პიონერები ისეთ სიმღერას, როგორიცაა ყოვლად გახრწნილი ქუჩური სიმღერა.

რა არის ეს, თუ არა მეშჩანური შემოტევა! ჩვენ ასეთები ჩვენი რიგებიდან უნდა გავდევნოთ. ჩვენ დღეს არ უნდა გვაინტერესებდეს სიმღერები სიყვარულზე და „სამშობლო ხევსურეთზე“. ჩვენს რიგებში ესენი უნდა აღმოეფხვრათ. პიონერთა ლაშქარი მუდამ მზად უნდა იყოს გადახრების წინააღმდეგ საბრძოლველად. პიონერებმა ამას უნდა გამოუცხადონ ბრძოლა არა მარტო თავიანთ რიგებში, არამედ ყოველგან, სადაც კი აქვს მას ადგილი.

კ. მელაძე.

*) მილჩაკოვი საკავშირო ა. ლ. კ. კ. ცეკას გენერალური მდივანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივხედოთ სოფლის ბავშვებს

სოფლის პიონერები უკმაყოფილონი არიან: თავის შენიშვნებში ისინი ჩივიან, რომ ქალაქის ბავშვები ცოტას შველიან მათ მუშაობაში. მხოლოდ უქმე დღეებში შემოიხედავენ ხოლმე შეფები სოფელში და ისიც წაილაპარაკებენ, დაგვპირდებიან... და მიდიან უკანო.

ერთი წერს: ქალაქ ტფილისის პატივცემულო ამხანაგო პიონერებო! ვინაიდან თქვენ ატარებთ კულტლაშქრობას, ამიტომ მე მაქვს თქვენთან პატარა თხოვნა. მე სოფლის ბიჭი ვარ, ძალზე დაინტერესებული ვარ გაზეთის და წიგნების კითხვით, მაგრამ ჩვენ აქ არა გვაქვს ბიბლიოთეკა და ეხლა ჩვენი ჯგუფი დაიშალა.

ვიყავი თავჯდომარე ჯგუფის საბჭოსი, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ დამეცვა ჯგუფი დაშლისაგან, არ მქონდა წიგნები, ჟურნალები, არც გაზეთი. ჩვენი ხელმძღვანელიც მოუმზადებელი იყო.

და აი მე ვთხოვ ტფილისის რომელიმე პიონერ-კოლექტივს, დამეხმაროს ჯგუფის აღდგენაში. თქვენ ხომ კოლექტივში გექნებათ ძველი გაზეთები, წიგნები, რომელსაც აღარ საჭიროებთ, ჩვენთვის კი ეს დიდი დამხმარე იქნება. მე მგონია, თქვენ ამაზე უარს არ გვეტყვით და გამომიწოდებთ ძმურ ხელს".

ვინ უშველის მათ, თუ არა ქალაქის პიონერები, რომელნიც მათთან შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან! ქალაქის ბავშვები კარგად არ იცნობენ სოფლის ცხოვრებას, როგორ მუშაობს პიონერ-რაზმი, სკოლა, როგორია სოფლის ბავშვების მოთხოვნილება და მათი ცხოვრება, რომელნიც დაქირავებულ შრომას ეწევიან და სხვა. ჟურნალმა „პიონერმა" უნდა შეუწყოს ხელი ქალაქის და სოფლის მტკიცე კავშირის განმტკიცებას.

აი რატომ გამოდის მომავალი **წლის 20 იანვარს** „პიონერის" სპეციალური ნომერი, ნახევრად მიძღვნილი სოფლის პიონერების და ბავშვების ცხოვრებისა და საქმიანობისადმი. შეფები ყურადღებით უნდა მოეპყრან სოფლის ნაკლოვანებებს. შეამოწმეთ თქვენი საშეფო კომისიების მუშაობა.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ჩვენ უნდა ჩავატაროთ კამპანია პიონერებსა და სოფლის მოწაფეებს შორის და მოზრდილ მოსახლეობას შორის „პიონერის" გამოწერის შესახებ შეფობააღებული რაზმისათვის, სკოლისათვის და ცალკე ბავშვებისათვის. საშეფო კომისიებო, გახსოვდეთ: 20 იანვარი ცხვირ წინაა. გაინძერით, რომ კარგად ჩავატაროთ კამპანია „პიონერის" და „ოქტომბრელის" სოფლის ბავშვებისათვის გამოსაწერად. სოფლის პიონერები და ბავშვები ელიან თქვენ მეგობრულ დახმარებას,

ლ.

პიონერები კულტურულ ლაშქრობაზე.

„ზანგები ადამიანები არ არიან"

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს რამდენიმე მილიონი ზანგი. სამხრეთში, ზოგიერთ შტატში (გუბერნიაში) ისინი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. მაგრამ ამერიკის ბურჟუაზია არ სთვლის მათ ადამიანებად. გაზეთები, წიგნები, მღვდლები, სკოლები და უნივერსიტეტები ერთსადაიმავეს გაიძახიან: „ზანგები ადამიანების დაბალი ჯიშია". ბურჟუაზიას უნდა კლასიური ბრძოლა რასების ბრძოლით შესცვალოს, და ასეთი დამოკიდებულება ზანგებისადმი ჩანს ყველაფერში.

ზანგებისათვის არსებობს ცალკე სასადილოები, ცალკე რონოდები რკინის გზაზე, ცალკე ეკლესიები, ზანგი ბავშვებისათვის მოწყობილია განსაკუთრებული სკოლები და, რასაკვირველია, ყოველივე ის, რაც კეთდება ზანგებისათვის, უფრო ცუდია, ვიდრე თეთრების.

ათეული ათასები ზანგი ბავშვებისა **(ექვსიდან შვიდ წლამდე)** მუშაობენ პლანტაციებში და ფაბრიკებში, ერთი ხმელი ლუკმისათვის და დიდს ტანჯვაში არიან. მხოლოდ ამერიკის კომუნისტური პარტია, კომკავშირი და პიონერები იბრძვიან ზანგების განთავისუფლებისათვის, ადამიანურ პირობებში ჩაყენებისათვის, და მოუწოდებენ მათ თავის კომუნისტურ რიგებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის თუ არა სიცოცხლე მთვარეზე

მთვარე ჩვენგან 385 ათასი კილომეტრის სიშორეზე იმყოფება. ეს მანძილი ჩქარმავალ ჰაეროპლანს შეეძლო გაევლო 40 დღეღამეში (რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, რომ დედამიწასა და მთვარეს შორის ჰაერი იყოს). ჩვენ გვაქვს ისეთი იარაღები, როგორიცაა ტელესკოპები და სხვა, რომელთა საშვალებით შეგვიძლია დაწვრილებით გამოვიკვლიოთ დედამიწის ეს ცივი თანამგზავრი.

სულ ცოტა ხნის წინ ისმებოდა საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა სიცოცხლის რაიმე ნიშნები მთვარეზე, თუგინდ მცენარეულობისა და სხვა სახით. ჯერ კიდევ ორი წლის წინ გამოთქმული იყო ის მოსაზრება, რომ მთვარის ზოგიერთ ადგილას არის წყალი, რომლის გამო იქ მარტივი ორგანიული არსებების ყოფნა შესაძლებელიაო. ასეთი დასკვნები იქიდან გამოჰქონდათ, რომ მთვარეზე თეთრ ლაქებს ამჩნევდენ და ფიქრობდენ, რომ ის თოვლსა და წყალს წარმოადგენდა. მაგრამ ეს დაკვირვევები არ დამტკიცდა და მოსაზრება იმის შესახებ, რომ მთვარეზე სიცოცხლეა, უკუგდებულ იქნა.

მართლაც და მთვარეზე რომ სინა-დვილეში არსებობდეს დიდრონი ზღვები და ყინულის მთები, ჩვენ მას მშვენივრად დავინახავდით ტელესკოპით.

მარსზე, რომელიც დედამიწიდან 55 მილიონ კილომეტრის მანძილზე იმყოფება, ჩვენ ხომ მშვენივრად ვამჩნევთ ღრუბლებს და თოვლიან მწვერვალებს.

დამტკიცებულია, რომ მცენარეთა გახარებისათვის საჭიროა განსაზღვრული ტემპერატურის გარდა ჟანგბადი და წყალი, ეს პროდუქტები კი, რასაკვირველია, ყველა პლანეტის ატმოსფერულ შემადგენლობაში მოიპოვება.

ასე, მაგალითად, მთელ რიგ პლანეტებზე წყლის ოხშივარის არსებობა კარგა ხანია დამტკიცებულია. ეს პლანეტებია: ვენერა, იუპიტერი, სატურნი და სხვა; რაც შეეხება პლანეტა მარსს, დამტკიცებულია იქ თოვლის არსებობა, სამაგიეროდ არცერთმა დაკვირვებამ არ მოიტანა შედეგი იმის დასამტკიცებლად, რომ მთვარეზე არსებობს ატმოსფერული ნიშნები და წყალი. მთვარის პეიზაჟი, რომელიც არაჩვეულებრივ სანახაობად იშლება ტელესკოპში, ამასვე ამტკიცებს. თუ კარგად დავაკვირდებით მასზე მთებისა და ხევების სივრცეს, დავინახავთ, რომ მათ ცვალებადი სახე არა აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათზე გავლენას არ ახდენს ატმოსფერული ნალექები.

ამრიგად, ყველა საბუთი, შეკრებილი მთვარის შესახებ, იმას ლაპარაკობს, რომ ჩვენი დედამიწის ეს მუდმივი თანამგზავრი მკვდარია. რომ მთვარეზე ატმოსფერო არ არის, ეს საოცრად მეღავნდება მთვარეზე ყოველი დაკვირვებიდან. თუ დედამიწაზე რომელიმე საგანს აკვირდები, რაც შორიდან უცქერი მას, ის უფრო ბნელი მოჩანს, მთვარეზე კი პირიქით ხდება.

მთვარის მთელი ზედაპირი დახრულია და ათასგვარი ხევით და მთით არის აჭრელებული, რომლებიც ერთმანეთს მისდევენ. მაგრამ მთელი ეს გაქვავებული პეიზაჟი გაბრწყინებულია მზის ოქროსფერი სინათლით.

არცერთი პლანეტა ჩვენს სისტემაში, გარდა მერკურისა, არაა ისე გაბრწყინებული, როგორც მთვარე. თუ ასე არ არის სხვა პლანეტებზე, ეს იმიტომ, რომ მზის სინათლეზე თავისებურ გავლენას ახდენს თვით ატმოსფეროც. მაგრამ რაკი მთვარეზე არაა ატმოსფერო, ამიტომ მზის სხივები თავისუფლად ეცემა საგნებს და თავისი სინათლით მეტად ძლიერად აჩირაღდნებს მთვარეს.

ასეთია მთვარის სამყაროს სურათი, ასტრონომების მიერ დახატული მათი მეცნიერული დაკვირვების ნიადაგზე. მაგრამ დაბოლოს ისმება საკითხი: ნუთუ არასოდეს არ დადგება ისეთი ჟამი, როცა ადამიანი შესძლებს ნამდვილად ესტუმროს დედამიწის ამ ახლობელ თანამგზავრს? ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ეს არ მოხდეს, რადგან ჩვენ უკვე დიდი ხანია გავცილდით დედამიწის ზედაპირს და არავისათვის ზღაპარი არ არის, რომ უკვე დიდძალი ცდაა, რომ მიხწეულ იქნეს ეს მიზანიც; ამის დამამტკიცებელია მთელი რიგი ყუმბარების მოწყობა, რომელსაც უშენენ პლანეტებს და ყველაზე მეტი დაჟინებით კი მთვარეს.

სანი.

ცოტა რამ ყველაფერზე

მუდმივი თოვლი აფრიკაში.

ალბათ, ბევრს გაუკვირდება და ძნელი წარმოსადგენიცაა მუდმივი თოვლის არსებობა ისეთ ადგილას, რომელიც სულ ახლოს არის ეკვატორთან, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, და ამ უკანასკნელ ხანებში ცენტრალურ აფრიკაში გამგზავრებულმა გეოგრაფიულმა ექსპედიციამ აღმოაჩინა მუდმივი თოვლის თვალუწვდენელი მინდორი ეკვატორიდან სულ რაღაც 50 მილიას*) დაშორებით.

ეს ადგილი იმყოფება ზღვის დონიდან $4^1/_2$ კილომეტრის სიმაღლეზე, რუვენზორის მთების ქედზე, უგანდასა და ბელგიის კონგოს საზღვარზე.

ზანგთა ველური ტომები, რომელნიც ცხოვრობენ ამ მთების მახლობლად, სიკვდილის შიშით ვერ ეკარებიან თოვლიან ადგილებს: მათ ჰგონიათ, რომ ამ ადგილებთან ახლოს მისვლა მყისვე გამოიწვევს ადამიანის სიკვდილს.

ფარისებური ჯირკვლები და თვალის ავადმყოფობა.

თვალის სნეულებათა შორის მეტად გავრცელებულია ეგრეთწოდებული **კატარაკტა**. ეს ავადმყოფობა გამოიხატება თვალის სიმღვრივეში და მხედველობის შესუსტებაში. კატარაკტას მკურნალობა მეტად საძნელოა, და მედიცინამ დღემდე არ იცოდა ამ სენის წინააღმდეგ რადიკალური საშვალება. ჩვეულებრივად კატარაკტას ოპე-

*) მილია—მანძილის საზომი ერთეულია. მილიას რაოდენობა სხვადასხვაგვარია: მაგალითად, ხმელეთის მილია უდრის 1609, 33 მეტრს, საზღვაო — 1853, 15, გეოგრაფიული — 7420, 4 მეტრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაციით წამლობდენ.

მაგრამ ეხლა ამერიკელი მეცნიერი **კერი** მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კატარაკტასა და ფარისებურ ჯირკვალს შორის არსებობს რაღაც კავშირი და სათანადო ცდების შემდეგ დაამტკიცა, რომ კატარაკტას წინააღმდეგ უებარ საშუალებას წარმოადგენს ფარისებური ჯირკვლის წვენის შეშხაპუნება ავადმყოფისათვის. ეს ექსტრაქტი ცხოველმყოფელად მოქმედებს მთელ ორგანიზმზე საერთოდ, თანდათან აქრობს თვალის სიმღვრივეს და ავადმყოფს ისევ უბრუნდება კატარაკტით დაზიანებული ნორმალური მხედველობა.

200 საგანი ჩალიდან.

ამერიკელმა მეცნიერებმა გამონახეს საშუალება, რომლის მიხედვით შეიძლება დაამზადო ჩალიდან სხვადასხვა ნივთი. მათის აზრით, თითოეული კილოგრამი ჩალიდან შესაძლებელია მიიღო 75 კაპეიკის სხვადასხვა ნივთი.

ეხლა ამერიკაში უკვე ამზადებენ ჩალიდან ქაღალდს, ქსოვილებს, აგურს, ლანჩებს და მრავალ სხვა საგანს, ოთხელთა რიცხვი 200-მდე აღწევს.

„ჯიბის“ საჰაერო ხომალდი.

საჰაერო ხომალდით „გასეირნება“ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართედ არის გავრცელებული და სპორტის ერთ-ერთ საინტერესო სახეს წარმოადგენს. ამასწინათ ამერიკის ბაზარზე გამოუშვეს საჰაერო ხომალდის განსაკუთრებული მინიატურული ტიპი; ადვილად შეიძლება ასეთი ხომალდის დაკეცვა, რის შემდეგ იგი ჩანთას ემსგავსება თავისი მოყვანილობით და მოკულობით.

ერთ-ერთი ასეთი „დასაკეცი“ ხომალდით სპორტსმენ **სტევენსმა** შესძლო სარეკორდო გაფრენა. სტევენსი შაბათს დღით გაფრინდა ნიუ-იორკიდან, კვირა დილას დაეშვა კლირ-ჯენკტის ტბასთან, 550 კილომეტრის დაშორებით ნიუ-იორკიდან; აქ მან დაკეცა თავისი ხომალდი, ჩაჯდა მატარებელში და ორშაბათს უკვე შინ იყო.

მარგალიტის ბუდობი ამურზე.

მარგალიტი რომ იშვიათი და ძვირფასია, ეს ყველამ ვიცით. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი ავლადიდება შეიძლება შეემატოს საბჭოთა კავშირს მდ. ამურის მარგალიტით მდიდარი ბუდობის ექსპლოატაციით.

მდინარე ამური იმყოფება შორეულ აღმოსავლეთში და ქალაქ ნიკოლაევსკთან ერთვის ოხოტსკის ზღვას. ამ მხარეს წინათ ჩინელები ფლობდენ და, მაშასადამე, ამურის მარგალიტით ისინი სარგებლობდენ. წელიწადში ისინი 1.500 — 2.000 მარგალიტს იპერდენ. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ მარგალიტის დაჭერა პრიმიტიული წესით წარმოებდა, სახელდობრ: ძყვინთავნი ჩადიოდენ მდინარეში და იქ ფსკერზე ეძებდენ.

საერთოდ ამურში მარგალიტის არსებობა საიდუმლოდ იყო დაცული; აქ მარგალიტი ჩინეთის იმპერატორის და მანჯურიის მდიდარი თავადების კერძო საკუთრებად ითვლებოდა. ამ უკანასკნელებმა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში 100-მდე ნადი გაგზავნეს ამურზე მარგალიტის დასაჭერად. თითოეულ ნადს, რომელიც შესდგებოდა 30 ჯარისკაცისაგან, ზაფხულის განმავლობაში (მაისიდან სექტემბრამდე) 16 მარგალიტი მაინც უნდა ჩაგბარებია მათთვის.

ხოლო მას შემდეგ, რაც შორეული აღმოსავლეთი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მე-2 მიერ შემოერთებულ იქნა რუსეთთან, ამურზე მარგალიტის ძებნას ერთხანს ამურის ნაპირებზე დასახლებულმა კაზაკებმა მიჰყვეს ხელი. მაგრამ ამ ძებნასთან დაკავშირებული სიძნელეების შედეგია ის, რომ ამ უკანასკნელ 50-60 წლის განმავლობაში მარგალიტის ძებნა აქ სავსებით შეწყვეტილია.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეხლა ამურზე მარგალიტის მნიშვნელოვანი მარაგია და თვითონ მარგალიტიც საკმაოდ დიდი გახდებოდა.

რკინის ქვიშა.

ადრიდანვე იყო ცნობილი, რომ შავი ზღვის სანაპიროებზე, ბათომსა და სოხუმს შუა, ქვიშაში ბლომად მოიპოვება მაგნეტიანი რკინა, რასაკვირველია, ფხვნილის სახით. სწორედ ამით აიხსნება, რომ კერძო წამომწყებთა ერთმა ჯგუფმა ჯერ კიდევ იმპერიალისტურ ომამდე დაიწყო ამ ქვიშის დამუშავება აღნიშნული სახის რკინის მისაღებად. ამ ჯგუფის მუშაობამ ნათელყო ასეთი რკინის არსებობა.

ამიტომ ეხლა განზრახულია იმის გამოკვლევა, თუ რამდენად პრაქტიკული მნიშვნელობა ეკუნება ამ რკინანარევი ქვიშის გადამუშავებას. ამის გამოსაკვლევი მუშაობა 2—3 წელიწადს გაგრძელდება.

თუ ამ მუშაობამ დადებითი შედეგები მოგვცა, იმ შემთხვევაში ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს შეემატება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განძი — მაგნეტიანი რკინა, რაც, უეჭველია, დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი მრეწველობის განვითარებას.

სოდის უამრავი მარაგი.

საბჭოთა კავშირში რომ უთვალავია ბუნებრივი სიმდიდრე, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ჯერ კიდევ როდია აღმოჩენილი და გამოკვლეული ეს სიმდიდრეები და მათი ბუდობები მთლიანად. ამ სიმდიდრეთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ვიცნობთ ჩვენ.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აბა რა დაუდგება წინ მეცნიერების ენერგიულ მისწრაფებებს ჩვენში სულ ახალ-ახალ ბუნებრივ სიმდიდრეთა ბუდობების აღმოჩენის და მათი შესწავლის მიმართულებით! მართლაც, თითქმის კვირა არ გაივლის ისე, რომ არ აღმოაჩინონ რაიმე ახალი ბუნებრივი სიმდიდრე. ასე, მაგალითად, ამასწინათ ციმბირში, — ქვისა და გლაუბერის მარილებით ამ უხვ ქვეყანაში, — გამოკვლეულ იქნა 4 კვადრატული კილომეტრის სივრცის ადგილი, სადაც აღმოჩნდა სოდის უამრავი მარაგი.

ეს ადგილია დორონინის ტბა, ჩიტინსკის ოლქში. ამ ტბის წყალი შეიცავს სოდის 5%. ამრიგად, წინასწარი გამოანგარიშების მიხედვით, ამ ტბაში ინახება 225.000 ტონა (ტონა უდრის 1000 კილოგრამს) სოდა. გარდა ამისა, ამავე წყალში ბლომად შედის ჩვეულებრივი და გლაუბერის მარილები.

ეხლა იქ წარმოებს მუშაობა იმის შესასწავლად, თუ რამდენად შესაძლებელია დორონინის ტბის ექსპლოატაცია ფართე სამრეწველო მასშტაბით.

ზღვის წყალმცენარეების გამოყენება.

როგორც ვიცით, წყალმცენარეებით უხვია შავი ზღვა, თეთრი ზღვა და წყნარი ოკეანეს სანაპიროები შორეულ აღმოსავლეთთან და ვინაიდან ეს ზღვები და შორეული აღმოსავლეთი შედის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაში, ამისათვის საზღვაო სამეცნიერო ინსტიტუტმა, რომელიც არსებობს მოსკოვში, გადასწყვიტა შეიტანოს თავის სამეცნიერო გამოკვლევების პროგრამაში ზღვის წყალმცენარეთა შესწავლაც.

დამწვარი წყალმცენარის ნაცარში საკმაო რაოდენობითაა კალიუმის, რკინის, ფოსფორის და გოგირდის ელემენტები, რომელთა გამოყენება, გარდა მედიცინისა, შეიძლება ნიადაგის გასანაყოფიერებლადაც.

გარდა ამისა, ცოცხალი წყალმცენარე გამოსადეგია საკვებ ნივთიერებად შინაური საქონლისათვის, ვინაიდან მასში (წყალმცენარეში) საკმაოდ მოიპოვება ცილა, ცხიმი და ნახშირმბადი.

ევროპაში და ჩრდილოეთ ამერიკაში წყალმცენარეებიდან მიღებული ფქვილისაგან აცხობენ გალეტებს. გარდა ამისა, წყალმცენარეებიდან იღებენ სამკურნალო ნივთიერებებს რევმატიზმის, სიფილისის, კუჭის ავადმყოფობათა და სხვათა წინააღმდეგ.

საერთოდ მთელ მსოფლიოში იოდის საჭირო რაოდენობის ერთ მესამედს წყალმცენარეებიდან იღებენ.

ცხელ წნეხში გატარებული წყალმცენარეებიდან ამზადებენ აგრეთვე ფოლაქებს და ელექტრონის არმატურებს.

ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲒᲘᲯᲔᲒᲘ.



დიდი ხანია, რაც კაცობრიობას ჰქონდა ჰაერში გაფრენის სურვილი. მრავალი ადამიანი შეეწირა მსხვერპლად ჰაერში ფრენის ცდას. პირველად დადებითი შედეგები მიღწეულ იქნა ეგრეთწოდებულ ჰაერზე უფრო მჩატე საფრენებით, ე. ი. ჰაეროსტატებით. უზარმაზარ ბუშტისმაგვარ სფეროს ავსებდენ ცხელი ჰაერით და ის მიფრინავდა მაღლა. ასეთი ჰაეროსტატი პიოველად მონგალფიერებმა ააგეს. შემდეგ სხვებმა იგი უფრო კარგად გახავითარეს, დადგეს ზედ მანქანები, რომლითაც შეიძლებოდა მათი მართვა, შეუცვალეს გარეგნული ფორმა და სხვა.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო იყო ისეთ მანქანის გამოგონება, რომელიც ჰაერზე მძიმე იქნებოდა და შესაძლებელი იქნებოდა იმით აფრენა. ფრინველთა მაგალითი იძლეოდა ასეთი მანქანის აგების შესაძლებლობის იმედებს.

1890 წელს ცნობილი გერმანელი ინჟენერი ოტო ლილიენტალი იწყებს ცდა მოხდენას, და აღწევს სასურველ შედეგებს.

ძახამდე თითქმის ყველას ცდა უშედეგოდ დამთავრდა. აგებდენ ათასგვაო მანქანას, მაგრამ ისინი აფრენამდე იმსხვრეოდენ, და გამოძგონებლებიც ვერავითარ შედეგებს ვერ აღწევდენ.

ლილიენტალმა ააგო ფრთები, ფრინველის ფრთების მსგავსი, და დაიწყო ხტომა მაღლობებიდან. ის ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით დგებოდა ძალალ სვეტებზე და იქიდან ხტებოდა. თავდაპირველად ის მხოლოდ ძირს ხელა დაშვებას ახერხებდა. შემდეგ კი იმდენად დახელოვნდა, რომ მცირე მანძილზე გაფრენაც კი შესძლო.

შემდეგ მან ააგო ორსართულიანი ფრთები და მით უფრო სასურველ შედეგებს მიაწია. ეხლა ის უკვე მაღალი გორაკებიდან ხტებოდა და ფრენაც უფრო გაახანგრძლივა. ხშირად ის უფრო მაღლა ახერხებდა აფრენას, იმ გორაკების სიმაღლესთან შედარებით, რომლიდანაც ის ხტებოდა.

1896 წელს, ერთ-ერთი ასეთი აფრენის დროს, ლილიენტალს ფრთები ჰაერში გადაუბრუნდა და ის დაიღუპა.

ლილიენტალის ძიერ დაწყებული ცდების ძოხდენა განაგრძო მისმა მოწაფემ, ინგლისელმა პილგერმა. მან მანქანის დადგმა განიზრახა მის მიერ აგებულ პლანერზე (პლანერი ეწოდება ისეთ აეროპლანს, რომელზეც მანქანა არა დგას და აფრენას მხოლოდ ქარის საშუალებით ახერხებს), მაგრამ ფრენის დროს პლანერი ჰაერში გადაუბრუნდა და ისიც დაიღუპა.

1900 წელს ამერიკელებმა, ძმებმა ვილბურ და ორვილ რაიტებმა, დაიწყეს ფრენის ცდების ძოხდენა. ისინი ქარხნის მეპატრონეები იყვნენ (ჩრდილოეთ ამერიკაში ჰქონდათ ველოსიპედების ქარხანა).

პირველად მათ ააგეს პლანერი. ქარის დახმარებით ისინი აფრინდებოდენ ხოლმე, მაგრამ ეს დიდ მანძილზე ხტომას უფრო გავდა, ვიდრე ფრენას. პლანერის ფოთოლს ისინი თანთანობით აუმჯობესებდენ და ბოლოს ძიიღეს ისეთი პლანერის სახე, რომლითაც უკვე საკმაო მანძილზე (200 მეტრამდე) ახერხებდენ გაფრენას და რომელზედაც შეიძლებოდა უკვე მანქანის დადგმა.

1903 წელს მათ პირველად დადგეს მანქანა თავის პლანერზე და მოახერხეს აფრენა. ჰაერში მათ შესძლეს გაჩერება დაახლოებით ერთ წამამდე. ეს იყო პირველი გამარჯვება და აქედან იწყება მანქანიანი აეროპლანების განვითარების ისტორია.

ერთი წლის შემდეგ რაიტებმა ააგეს ახალი მანქანა, რომლითაც გადაფრინდენ ოთხ ნახევარ კილომეტრის მანძილზე, შემოხაზეს წრე და მობრუნდენ უკან.

კიდევ ერთი წლის შემდეგ მათ შესძლეს ძირს დაუშვებლად ორმოცი კილომეტრის გაფრენა. ეს უკვე მათი ბრწყინვალე გამარჯვება იყო.

დიდის საიდუმლოებით ინახავდენ ძმები თავის აეროპლანს. არავის არ იკარებდენ ფრენის დროს და იმათი ცდების შესახებ მხოლოდ ხმები დადიოდა. საერთოდ ამერიკაში იმ ხანებში (და ეხლაც) გამომგონებლები ყოველთვის ცდილობდენ მილიონების შეძენას. ასეთივე სურვილი დაებადათ რაიტებს და მიმართეს სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოს, რომ შეეძინათ იმათგან ეს „ჯადოსნური“ გამოგონება, მაგრამ ისე ძვირად აფასებდენ თავის გამოგონებას, რომ არცერთმა სახელმწიფომ არ მოისურვა შეძენა.

ძმებმა კი, იმ იმედით, რომ ეს მანქანა მხოლოდ მათ გამოიგონეს და ამის აგებას სხვა ვერავინ შესძლებდა, საიდუმლოდ ჩაკეტეს თავლაში თავისი აეროპლანი და დაიწყეს ცდა. სულერთია, სხვა გზა არა აქვთ, ისევ ჩვენთან მოვლიან და მაშინ ათი მილიონის ნაცვლად ას მილიონს მოვთხოვთო. დრო კი მიდიოდა, და რაიტები სრულიად დაიმედებულნი ელოდენ — აი აგერ რომელიმე დიდი სახელმწიფო მოვა და ჯიბეში ოქროებს ჩაგვიჩხრიალებსო.

მაგრამ ამ მოცდამ რაიტები ხახამშრალი დასტოვა: საფრანგეთში უკეთესი აეროპლანი გამოიგონეს და ფრენა დაიწყეს.

მაშინ კი იკადრეს ძმებმა ცხრაკლიტულის გახსნა და თავისი აეროპლანის ხალხისთვის ჩვენება, თორემ არა თუ ფულს, არამედ პირველობის სახელსაც კარგავდენ და შემდეგ ბევრიც რომ ემტკიცებინათ ხალხისთვის, აეროპლანი პირველად ჩვენ ავაგეთო, აღარავინ არ დაუჯერებდა.

ა. ბელიაშვილი.

ᲕᲣᲚᲙᲐᲜᲔᲑᲘ.

ძველი ხალხები ვულკანს ეძახდენ იმ მთებს, რომლებიდანაც ამოხეთქდა ხოლმე ცეცხლი და წიაღვარი. მაშინ არავინ იცოდა ამ მოვლენის მიზეზი და ეგონათ, ღმერთი — მჭედელი ვულკანი—სჭედს თავის გრდემლზე მიწისქვეშეთის სამეფოში და მთის ნაპრალიდან ამოდის მისი სამჭედურის კვამლი და ნაპერწკლებიო.

ვულკანები ყველგანაა: თბილი ზღვების ახლოსაც (ვეზუვი, ეტნა) და ყინულოვანი ოკეანეს საზღვარზეც (გეკლა ისლანდიაში, ერებუსი სამხრეთ ყინულოვან ოკეანეში და სხვ.). ხანდახან ვულკანი ამოხეთქავს ხოლმე ზღვის ფსკერზე და ამოფრქვეული მასებისაგან კუნძული ჩნდება (იულიას კუნძული). ზოგი ვულკანი მუდამ მოქმედობს, ზოგი კი ხანგამოშვებით, ზოგიც ჩამქრალია, მაგრამ ყველა ვულკანი უეჭველად წყლის ახლოსაა (ზღვის, ტბის). ყველაზე მეტი ვულკანია წყნარ ოკეანეში და მის ნაპირებზე.

სიდიდით ვულკანები სხვადასხვანაირია. აკონგაგუას (სამხრეთ ამერიკაში) 6 ვერსი სიმაღლე აქვს, ვეზუვის — 1 ვერსი.

როდესაც ვულკანი ამოხეთქავს, საშინელი გუგუნი ისმის, მიწა ინძრევა, კრატერიდან (ვულკანის ყელი) ამოდის აუარებელი ორთქლი და ნაცარი, ხან კი მხოლოდ ტალახისმაგვარი წიაღვარი ამოხეთქს და არც მიწისძვრაა.

რა იწვევს ვულკანის მოქმედებას?

ოდესღაც დედამიწა გავარვარებულ სითხეს წარმოადგენდა, რომელიც თანდათან ცივდებოდა და იკუმშებოდა. ამ გაცივების გამო დედამიწას გარედან გაუკეთდა ქერქი, ე. ი. ის, რასაც მიწას ვეძახით, შიგნით კი გული ისევ დამდნარი მთის ქანები, ორთქლი და გაზებია. ამ დამდნარ მასას რაღაც ძალა ამოისვრის ხოლმე ზევით. რას წარმოადგენს ეს ძალა? ესაა ორთქლი და გაზები. წყალი, რომელიც არის მიწის ზედაპირზე, ძირს ჩადის და როდესაც დედამიწის დამდნარ გულამდე მიაღწევს, ორთქლად იქცევა, ამ ორთქლს კი ადგილი სჭირდება და ამიტომ ის ზევით მოილტვის (დააკვირდით ადუღებულ ჩაიდანს და შენიშნავთ, რომ მის თავს ორთქლი ხშირად ზევით სწევს). ამ ორთქლს თან ამოაქვს წიაღვარიც. დედამიწა ყველგან თანაბრად როდი ცივდებოდა და ამიტომ ზოგან ჩაიწია მიწის ქერქმა, ზოგან კი ამოიბურთა. ორთქლი იმ ადგილებისკენ მიისწრაფის, სადაც ეს ქერქი უფრო თხელია, ასეთ ადგილებში კი ზღვები და ტბები გაჩნდა. ამიტომაა, რომ ვულკანები უმთავრესად დიდი წყლების — ზღვების, ტბების — ნაპირებზეა.

ამოხეთქის დროს წიაღვრისგან კეთდება გორა, რომელიც თანდათან იზრდება ახალ-ახალი ამოხეთქის გამო და უზარმაზარ მ ად იქცევა. ვულკანის ამოხეთქამდე მიწის ქვეშ გუგუნი გაისმის და მიწა იძვრის, ხანდახან ჭებიც დაშრება ვულკანის მთის ძირას, მაღალ ვულკანზე კი, თოვლით რომ არის დაფარული, თოვლი გადნება და საშინელი მდინარე სპობს ყოველივეს, რაც გზაზე შეხვდება.

წყლის ორთქლის სვეტი თანდათან იზრდება ვულკანის თავზე, სულ ზევით-ზევით მიდის, რამდენიმე კილომეტრის სიმაღლეზე, და დიდ ღრუბლებად იქცევა. ღამე ეს ღრუბელი ცეცხლივით ანათებს — ეს კრატერის გავარვარებული წიაღვრის ანარეკლია. ორთქლის სვეტს ამოაქვს წარმოუდგენელი სიდიდის გაცხელებული ქვები, ელავს, ქუხს, კოკისპირული წვიმა და ხან სეტყვაც მოდის. საშინელი გუგუნი და ამოხეთქის ხმა რამდენიმე ას მილზე ისმის.

როდესაც წიაღვარი ამოხეთქს, ის გადმოედინება კრატერს და ძირს დაეშვება ხან საშინელი სისწრაფით — საათში 20-30 კილომეტრს გაივლის, — ხან კი მეტად ნელა — საათში ერთი მეტრით თუ წაიწევს წინ. წიაღვარი ნელა ცივდება. მაგალითად, ვულკან ხორულიოდან (მექსიკაში) ამოხეთქა წიაღვარმა 1759 წელს და 21 წლის შემდეგ ის ისე ცხელი იყო, რომ პაპიროსს ცეცხლი ეკიდებოდა, თუკი ამ წიაღვარს მიადებდით; ზოგჯერ კი წიაღვარი მალე ცივდება — რამდენიმე წელწადში ან თვეში. პირველად ცივდება წიაღვრის ზედა ნაწილი, ქვეშ კი წიაღვარი მიმდინარეობს და, თუ დაქანება ზღვისკენ აქვს, ზღვაში ჩადის. მაშინ ჩნდება ე. წ. წიაღვრის გამოქვაბულები, რომლების სიგრძე ხანდახან რამდენიმე კილომეტრს უდრის. ვულკანი ამოხეთქს ყუმბარებს (დიდ ქვებს), სილას (ბერძნული თხილის ოდენას) და ნაცარს. ნაცარი ორთქლს უერთდება, ტალახად იქცევა, და ეს ტალახის წვიმა საშინელ დღეს აყენებს ყველაფერს.

ძალიან დიდ მანძილზე აჩენს თავის კვალს ვულკანის ამოხეთქა. მაგ. კუნძულ ისლანდიაში 1800 კ. მილის მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ ქვები და კლდეებია — წიაღვრის მდინარეების შედეგი.

ყოველი აღმოფრქვევის შემდეგ თითქოს აკლდება ძალა ვულკანს: ზედმეტი ორთქლი ამოვიდა, და ვულკანი დროებით მიყუჩდება. ამ დროს კრატერიდან ამოდის ორთქლი, ხან პატარა ქვებიც, მაგრამ საშიში არაფერია.

ზოგი ვულკანი მუდამ ასე მშვიდადაა და მისი კრატერიდან კი მუდამ ამოდის წყლის ორთქლი. სიცილიის მახლობლად არის ვულკანური კუნძული პანტელარია. აქ მწყემსები თხებს აძოვებენ; ისინი მოაგროვებენ ხმელ ტოტებს, დააწყობენ კრატერთან, ორთქლი ამით ცივდება და წყლად იქცევა, რომელსაც ეს ბიჭები თხებს ასმევენ.

გავიცნოთ ერთი დიდი ვულკანი.

იტალიაში, ნეაპოლის მახლობლად, არის მთა ვეზუვი. ეს ვულკანია, რომელიც ახლაც არა ერთხელ დასცემს ხოლმე თავზარს იტალიელებს, ქრისტეს დაბადებამდე 79 წელს კი მან მოსპო სამი ქალაქი — პომპეა, გერკულანი და სტაბია. ამოხეთქა ორთქლმა, ამოისროლა ქვები, წიაღვარმა დაფარა ქალაქები და ცოცხლად დამარხა ხალხი. შორეულ ადგილებში ისე ჩამობნელდა, როგორც უმთვარო ღამეს. ნაცრის წვიმამ დაფარა ხალხი და, რომ ცოცხლად არ დამხრჩვალიყვენ, დროგამოშვებით ჩამოიბერტყდენ ხოლმე ამ ნაცარს. ამის შემდეგ ვეზუვი დაწყნარდა, მაგრამ 1636 წელს ისევ ამოხეთქა და 100 კილომეტრის მანძილზე ისროდა უზარმაზარ ქვებს, ამ დროს 3000 კაცზე მეტი დაიღუპა, დაიქცა რამდენიმე პატარა ქალაქიც. წიაღვრის მდინარემ, რომლის სიგანე რამდენიმე 100 მეტრს უდრიდა, ზღვას მიაშურა. რამდენიმე დღის შემდეგ ვეზუვი დაშვიდდა, მაგრამ 1794 კვლავ საშინელი სურათი დატრიალდა. მიწა ინძრეოდა და ისე ღელავდა, როგორც ზღვის ტალღები. ხალხი იხოცებოდა, სახლები ინგრეოდა, უზარმაზარი ქვები ცვიოდა ციდან, ვულკანის მიერ ცაში ატყორცნილი. ცა გავარვარებულ თონეს წააგავდა. წიაღვრის მდინარეები საშინელი ძალით დაეშვენ მთების კალთებიდან. ერთი მდინარე ქალაქ ტორე-დელ-გრეკოსკენ გაემართა და რამდენიმე საათს შემდეგ ეს ქალაქი აღარსად იყო. მდინარე ზღვაში შეიჭრა და მეორე დღეს მოხარშული თევზებით იყო ზღვა მოფარული. საშინელი ხმაურით მიდიოდა ძირს ქვები, მდინარეები... წვიმდა, მაგრამ ეს იყო ტალახისა და ნაცრის წვიმა. ორი კვირის შემდეგ ცოტათი მიწყნარდა ვეზუვი, ერთი თვის შემდეგ კი სულ დამშვიდდა, და ხალხმა ისევ დაიწყო ცხოვრება მის ძირას. 1872 წელსაც იმსხვერპლა მან ხალხი, მაგრამ მალე დაწყნარდა. ამჟამად მხოლოდ პატარ-პატარა ამოხეთქვას აქვს ადგილი.

ევროპის ყველაზე საშიში ვულკანია ეტნა. მის მიერ ამოხეთქილი წიაღვრის განი 130 კილომეტრია. ეტნას სულ 900 კრატერი აქვს.

ხმელთაშუა ზღვაზე, სიცილიის მახლობლად, არის მეტად საინტერესო ვულკანი სტრომბოლი. ის ისვრის ზევით წყლის ორთქლს და ქვებს რამდენიმე ასი მეტრის სიმაღლეზე. ერთი ამოხეთქვა რომ დასრულდება, 10-20 წამის შემდეგ კიდევ ამოხეთქავს და წითლად შეღებავს ცას. ძალიან ლამაზია სტრომბოლი ღამით. ყოველი ამოხეთქის დროს ამოისვრის გავარვარებულ წიაღვარს და ორთქლის ღრუბლებს ააელვარებს. მერე თანდათან გაფერმკრთალდება ეს ღრუბლები, მაგრამ მოუსწრებს მეორე ამოხეთქა და კვლავ ცეცხლი წაეკიდება ცას. ეს სურათი 100 კილომეტრის მანძილზეც კი ჩანს და ამიტომ სტრომბოლის მეზღვაურებმა „ხმელთაშუა ზღვის კანდელი“ დაარქვეს.

ხმელთაშუა ზღვაზე, იტალიის ნაპირებთან, ხშირია წყალქვეშა ვულკანების ამოხეთქა და ახალი კუნძულების გაჩენაც.

1831 წლის 28 ივნისს გემმა, რომელიც მიდიოდა სიცილიასა და პანტელარიას შორის, იგრძნო, თითქოს ქვემოდან რაღაცა დაეტაკა. 10 ივლისს იმ ადგილას წყალის შადრევანი ავარდა 60 ფუტის სიმაღლეზე და ორთქლი ავიდა ½ კილომეტრზე. წყალი ისე გაცხელდა, რომ თევზები მოიხარშენ და ათიათასობით დატივტივობდენ ირგვლივ. მერე კუნძულიც გამოჩნდა წყლიდან და სულ დიდდებოდა. მას იულიას კუნძული დაარქვეს. ერთი თვის შემდეგ ეს ვულკანი დაწყნარდა. ზღვის ტალღები ანგრევდენ ამ კუნძულს და ბოლოს მისი კრატერი დაინგრა. კრატერში წყალი შეიჭრა, რომელიც სულ დუღდა. ერთი წლის შემდეგ ეს კუნძული სულ გაქრა.

ხშირად ზღვა ისე გადაირევა ვულკანის ამოხეთქის დროს, რომ 20 მეტრის სიმაღლის ტალღები დაგორავენ და სპობენ ყველაფერს. მე-XVIII საუკუნეში ხალხის თვალწინ გაჩნდა ვულკანი ხორულიო, მინდორმა იწყო ზოგან ჩაზნექვა, ზოგან ამოზნექვა და ერთ-ერთი ასეთი ამოზნექილი ადგილი ისე წავიდა ზევით-ზევით, რომ 500 ფუტის სიმაღლე გახდა. სწორედ ეს არის ვულკანი ხორულიო. მიწა ორი თვის განმავლობაში ინძრეოდა.

იალბუზი, ყაზბეგი, არარატი და ალაგეზიც ყოფილი ვულკანებია; პირველი ორი უხსოვარ დროსვე ჩაქრა და ახლაც აქვთ კრატერების ნაშთი. არარატის კალთებზე ახლაც არის გაცივებული წიაღვარი. უკანასკნელად ამოხეთქა მან 1840 წელს, ამიერკავკასიაში მიწა ინძრა და ხალხიც ბევრი დაიღუპა. ალაგეზი არარატის ჩრდილოეთითაა; მისი მოქმედება ისტორიას არ ახსოვს, მისი წიაღვრის ნიშნები კი ახლაც არის მდ. არეზის ნაპირას, ყარსსა და ლენინაკანთან.

ყველა ზემოაღწერილი ვულკანის მოქმედება სასაცილო გამოჩნდება კრაკატაუს ამოხეთქასთან (1883 წ.), რამაც გამოიწვია დედამიწის ყველა ზღვისა და ოკეანეს აღელვება და თვისი კვალი დაჩინა ქვეყნიერების ყველა ნაწილს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

შ. თ-ლი.

როგორ კეთდება წიგნი.

სალარო.

მთელი ასოები განაწილებულია დიდ ყუთში, რომელსაც პატარ-პატარ განყოფილებები აქვს (სალარო). ყოველ განყოფილებაში თავისი ასოა. ერთში აწყვია მხოლოდ ა, მეორეში ბ და ასე. თითოეულ განყოფილებას არავითარი წარწერა არ აქვს. ასოთამწყობმა ზეპირად იცის სალარო. ის უკვე ისე შეეჩვია, სად რომელი ასოა, რომ ხელი უკვე თვითონ მიიწევს საჭირო განყოფილებისკენ. განყოფილებები ყველა თანატოლი არ არის, ვინაიდან ასოთა ერთი

ᲯᲒᲣᲤᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ. ᲡᲪᲔᲓᲔᲗ ᲘᲡᲔ, ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲐᲓ, ᲓᲐᲘᲗᲕᲐᲚᲔᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ Ა ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛ ᲐᲛ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲨᲘ.

ᲐᲡᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲛᲐ ᲘᲪᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲐᲡᲝᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲝᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲡᲝᲡ ᲧᲘᲠᲐᲛᲐᲚᲐ ᲛᲝᲥᲪᲔᲕᲐ ᲒᲐᲣᲡᲘᲜᲯᲐᲕᲐᲓ?

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲝᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲜᲐᲭᲓᲔᲕᲘ. ᲜᲐᲭᲓᲔᲕᲘ ᲥᲕᲔᲕᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲐᲥᲪᲘᲝ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲡᲝ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲧᲘᲠᲐᲛᲐᲚᲐ.

ᲐᲘ, ᲐᲘᲦᲝ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲓᲐᲜ ᲐᲡᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲛᲐ ᲐᲡᲝ, ᲛᲝᲡᲫᲔᲑᲜᲐ ᲜᲐᲭᲓᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲐᲬᲧᲝ ᲐᲡᲝ ᲐᲡᲝᲖᲔ. ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲔ ᲐᲓᲕᲘᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘᲡ ᲐᲦ ᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲐᲡᲝ ᲓᲐᲧᲘᲠᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘᲡᲙᲔᲜ, ᲛᲐᲡ ᲙᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲰᲧᲕᲔᲑᲐ. ᲤᲣᲫᲘᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲛ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘᲡ ᲠᲘᲗᲘᲛᲔ ᲩᲐᲭᲔᲓᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲝᲔᲑᲘ ᲛᲧᲘᲓᲠᲝᲓ ᲘᲧᲝᲡ.

ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘ.

ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲖᲝᲛᲘᲡ ᲡᲠᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘ. ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲑᲐᲚᲘᲐ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲖᲔ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲡ ᲡᲢᲝᲕᲔᲑᲔᲜ. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲡᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲐᲓ ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲕᲓᲔᲡ, ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲓᲐ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲖᲔᲓᲐ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲡ ᲣᲡᲬᲝᲠᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐᲡ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲔᲠᲗ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ **ᲔᲕ**--ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲢᲐᲜᲝᲡ **ᲠᲝᲠᲐ**. ᲐᲥ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲝᲓ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ.

ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲐᲜ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲦᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲡᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲡᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲐᲗᲐᲕᲡᲔᲑᲡ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲜ ᲛᲮᲕᲘᲚ ᲨᲠᲘᲤᲢᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ.

ᲧᲘᲠᲐᲛᲐᲚᲐ.

ᲐᲡᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘ, ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘ ᲩᲐᲡᲯᲔᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲙᲠᲔᲨᲘᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲪᲐᲠᲖᲔ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ. ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲐᲠ ᲓᲒᲔᲑᲐ, ᲡᲐᲑᲭᲙᲠᲔᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲔᲠᲗᲘᲛᲔᲝᲠᲔᲖᲔ ᲛᲘᲧᲠᲘᲚᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲐᲘᲬᲧᲝᲡ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲣᲐᲨᲘ ᲛᲝᲔᲥᲪᲔᲕᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲮᲝᲛ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲐᲑᲓᲐᲣᲑᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲧᲘᲠᲐᲛᲐᲚᲐ.

ᲐᲡᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘ, ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘ ᲩᲐᲡᲯᲔᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲙᲠᲔᲨᲘᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲪᲐᲠᲖᲔ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ. ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲐᲠ ᲓᲒᲔᲑᲐ, ᲡᲐᲑᲭᲙᲠᲔᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲔᲠᲗᲘᲛᲔᲝᲠᲔᲖᲔ ᲛᲘᲧᲠᲘᲚᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲐᲘᲬᲧᲝᲡ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲣᲐᲨᲘ ᲛᲝᲔᲥᲪᲔᲕᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲮᲝᲛ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲐᲑᲓᲐᲣᲑᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲠᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲡ: ᲐᲕᲐᲬᲧᲝᲗ ᲧᲘᲠᲐᲛᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲤᲘᲪᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲐᲬᲧᲝᲗ ᲖᲔᲕᲘᲗ.

ᲐᲡᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲐᲡᲔ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ. ᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲝᲡ ᲧᲘᲠᲐᲛᲐᲚᲐ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲤᲘᲪᲐᲠᲖᲔ.

ᲐᲥ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲝᲑᲐᲐ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲡ ᲐᲬᲧᲝᲑᲐ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲙᲠᲔᲡ ᲫᲘᲠᲘ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ? ᲘᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲠᲣᲓᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ.

ᲡᲐᲮᲐᲖᲐᲕᲘ.

ᲐᲡᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲐᲥ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲔᲠᲮᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ. ᲐᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲓᲐᲐᲤᲐᲠᲔᲑᲡ ᲛᲐᲡ ᲗᲮᲔᲚ ᲡᲞᲘᲚᲔᲜᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲖᲐᲕᲡ (ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲐᲡ). ᲘᲡᲘᲪ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲬᲝᲠᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲑᲭᲙᲠᲘᲡ ᲫᲘᲠᲘ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲡ ᲘᲡᲔ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲐᲡᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲑᲭᲙᲠᲔᲡ ᲫᲘᲠᲖᲔ, ᲓᲐ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲛᲖᲐᲓᲐᲐ, ᲘᲡ ᲜᲔᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲔᲕᲡ ᲣᲙᲐᲜᲐ ᲡᲞᲘᲚᲔᲜᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲖᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲡ ᲖᲔᲕᲘᲗ ᲡᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲐᲬᲧᲝᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲡᲐᲮᲐᲖᲐᲕᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲫᲠᲝᲑᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲙᲠᲔ. ᲔᲮᲚᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲨᲘᲐ: ᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲐᲡᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲛᲐ ᲤᲘᲪᲐᲠᲖᲔ ᲘᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲢᲐᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲨᲐᲚᲝᲡ. ᲐᲥ ᲙᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲐᲡᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲘᲡᲔ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲐᲡᲝ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲜᲓᲠᲔᲕᲐ. ᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ?

ᲙᲣᲗᲮᲔ.

ᲐᲛ ᲡᲐᲑᲭᲙᲠᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚ ᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲮᲝᲛ ᲛᲘᲰᲧᲕᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲜᲐᲭᲔᲠᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲓᲐᲚᲐᲒᲓᲔᲡ

ᲐᲑᲐ ᲡᲪᲐᲓᲔᲗ ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲧᲝᲑᲘ ᲓᲐᲘᲨᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲮᲝᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲧᲣᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲙᲣᲗᲮᲔᲡ ᲔᲫᲐᲮᲘᲐᲜ. ᲔᲡ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲤᲘᲪᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲫᲘᲠᲘᲡ ᲙᲐᲚᲗᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲘᲛᲐᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲐᲗᲐᲕᲡᲔᲑᲡ ᲐᲡᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲜᲐᲬᲘᲚ-ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ ᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲡ, ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲬᲧᲝᲑᲐ, ᲓᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲡᲬᲝᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ.

ᲠᲝᲪᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ, ᲙᲣᲗᲮᲘᲓᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲛᲝᲘᲦᲝᲜ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲘᲤᲘᲥᲠᲝᲜ. ᲛᲗᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲡ ᲛᲐᲒᲠᲐᲓ ᲰᲙᲠᲐᲕᲔᲜ ᲗᲝᲙᲘᲗ. ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲣᲚ ᲐᲓᲕᲘᲚᲘᲐ.

Ა. ᲧᲘᲢᲙᲝᲕᲘ.

ᲗᲐᲠᲒᲛ. Თ. ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

პიონერების ცოცხალი საქმეები

მშვიდობით, დედი!..

მე ვუბრუნდები ისევე ტფილისს,
უნდა დავტოვო დროებით მთები.
ცივი ზამთარი მალე გაივლის,
ისევ მოგივალ, ძვირფასო დედი!..

შენ მუდამ მირჩევ, რომ დავრჩე შენთან
და არ დავტოვო ოჯახი ტკბილი,
რომ გავატაროთ ზამთარიც ერთად,
ვიქნებით კარგად დედა და შვილი.

მე არ გიჯერი, მიზიდავს სწავლა.
შფოთიან ტფილისს კვლავ ვუბრუნდები.
თუმც მეძნელება სახლიდან წასვლა,
მაინც მივდივარ, მშვიდობით, დედი!..

შენ მოგდიოდა თვალთაგან ცრემლი.
როს მაგონდება, ლამის მეც ვტირი.
ათრთოლებულმა მომხვიე ხელი,
მშვიდობით დედი, მივდივარ ტფილისს.

უნდა ვისწავლოთ და მოვეხმაროთ
ჩვენს ხალხს, დაჩაგრულს უსწავლელობით,
იმათი გული რომ გავახაროთ
უფრო ხელსაყრელ სხვაგვარ ხელობით.

მივდივარ ტფილისს, ნუ გედარდება,
მე შენ ზაფხულზე ისევ შემხვდები.
და ნუ სწუხდები ჩემზე ამდენად,
მშვიდობით, დედი! მშვიდობით, დედი!..

გ. ჯაბუშანური.

ამხ. ელიპოს ხსოვნას

წელს ხარაგოულის (შორ. მაზ.) პიონერთა ორგანიზაციამ ერთ-ერთი ძვირფასი, აქტიური პიონერი დაჰკარგა ელიკო წულუკიძის სახით.

ამხ. ელიკოს ჩვენს პიონერ-ორგანიზაციაში მუშაობდა 1925 წლიდან, ე. ი. დაარსების დღიდან. ჩვენი ორგანიზაცია დიდი მწუხარებით იგონებს ამხანაგ ელიკოს დაკარგვას, მაგრამ მისი სახელი მაინც არ დაიკარგება ჩვენს ორგანიზაციაში და მუდამ გვემახსოვრება იგი.

ა. კიკნაძე.

ლოძის გაფიცულთ

იმ დროს, როდესაც მზე უხვად აფრქვევს
დედამიწაზე თავის მწველ სხივებს,
ლოძის მუშები სჭედენ მომავალს,
კაპიტალიზმი მისცეს ცეცხლის ალს.

საბჭოთა ძმებიც მათთან არიან,
და ქარიშხალის ამოვარდნისას
ვერ შეგვაჩერებს ფაშიზმის შიშიც,
გავუმკლავდებით ძალასა მტრისას.
ვერ შეაჩერებს მუშების ტალღას
ლოძის მუშების გამყიდველები,
და თუ დღეს ვერა, ხვალ მაინც შევძლებთ,
შევამჭიდროოთ მსოფლიო ძმები.

კარლო კალანდაძე.

ნ|პ. მუშაობა ზემო სვანეთში.

სვანეთში რამდენიმე ასეული ნორჩი პიონერია. იშვიათი იქნება ისეთი თემი, რომ არ არსებობდეს ნ/პ. ორგანიზაცია, რომელთა ხელმძღვანელად გამოყოფილი არიან შიგნითვე თემში ა. ლ. კ. კ. უჯრედის წევრები. მართალია, ასეთ ჩამორჩენილ კუთხეში, სხვა კულტურულ კუთხეებთან შედარებით, უფრო დაბალ დონეზე დგას ნ|პ ორგანიზაციების მუშაობა, მაგრამ ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრ. კომიტეტის და ზ. სვანეთის სამკომის დირექტივების შესრულებით ცდილობს ყოველი ნ|პ. ორგანიზაციის შემადგენლობა, რაც შეიძლება ზედმიწევნით შეასრულოს მასზე დაკისრებული მუშაობა. უნდა აღინიშნოს, რომ ნ|პ. ორგანიზაციების მუშაობა მოისუსტებს, რადგან მას ხელს უშლის მკაცრი ზამთარი და იმ ადგილის (ცენტრის) სიშორე, სადაც მათ უხდებათ შეკრება. მართალია, გაზაფხულზე ნ|პ ორგანიზაცია თავის მუშაობას ცოცხლად ატარებს, მაგრამ ეს ცოტაა. დღესდღეობით ჩვენს ნ|პ. ორგანიზაციებს არ აქვთ იმდენი მიღწევები, როგორც უნდა ჰქონდეთ და აქვთ კიდეც სხვა კულტურული კუთხის ნ|პ ორგანიზაციებს.

ვიმედოვნებთ, მომავალში, ზ. სვანეთის სამკომის მიერ ნ|პ ორგანიზაციებისადმი მეტი ყურადღების მიპყრობის მეოხებით, ჩვენ კ გვექნება ისეთივე მიღწევები, როგორიც აქვთ უფრო კულტურულ ცენტრებში არსებულ ნ|პ ორგანიზაციებს.

კომკავშირელი ესტატე კვიციანი.

ჩვენი მუშაობა

(სოფ. ქვემო-კრიხი, რაჭა-ლეჩხუმის მაზრა)

ჩვენს სოფელში არსებობს ნორჩ პიონერთა კოლექტივი, რომელიც აერთიანებს 52 პიონერს. კოლექტივს ჰყავს საბჭო, რომელიც იმუშავებს სხვადასხვა საკითხებს კრების დაწყებამდე. შემდეგ გადააქვს პიონერთა კოლექტივში. გარდა ამისა გამოყოფილია სანიტარული კომისია და ქსელის გამბმელი კომისია; კოლექტივი დაყოფილია რგოლებად, სადაც მუშაობა კარგად მიმდინარეობს. კრებები ხდება კვირაში ორჯერ — შაბათობით და კვირაობით, რაც ხელს უწყობს კოლექტივის გაძლიერებას; აგრეთვე მოწყობილი გვაქვს წითელი კუთხე. მუშაობა თავის დონეზე ვერ არის კოლექტივის ეკონომიური სისუსტის გამო.

პიონერი ვ. მაცაბერიძე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

შაგათოგა ჩვენს სკოლაში

კვირას, 11 ნოემბერს, მე-9 შრომის სკოლაში მოწყობილ იქნა შაბათობა. შაბათობაში მონაწილეობა მიიღეს მოზრდილმა მოწაფეებმა, პიონერებმა, კომკავშირელებმა და მასწავლებლებმა.

გაკეთებულ იქნა გზა-ბილიკი.

შაბათობა ძალიან ხალისიანად ჩატარდა. კარგი იქნება, რომ სხვა სკოლებშიც ჩატარდებოდეს ასეთი საესარგებლო შაბათობა.

გ. პაპუკაშვილი.

ჩვენი პიონერ-ორგანიზაცია

(დუმანისი ბორჩალოს მაზრა)

უკვე მესამე წელია დუმანისის თემში არსებობს პიონერორგანიზაცია, რომელიც პირველ ხანებში 120-მდე ბავშს აერთიანებდა. პირველ ხანებში პიონერორგანიზაცია კარგად მუშაობდა, მაგრამ ამ ბოლო დროს ის თანდათან ირღვევა, რაც ხელმძღვანელის სისუსტეს უნდა მიეწეროს.

აქ პიონერთა ორგანიზაციას საგრძნობი ნაკლი აქვს, რომლის გამოსწორებაზე არავინ არ ფიქრობს.

პიონერ-მუშაობაში არ არიან სათანადოდ გამოყენებული კულტურული ძალები.

ოქტომბრელთა მუშაობა არ არის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული; თემბიუროს, სამბიუროს და კომკავშირის ხელმძღვანელობა ნაკლებია. არ არის გეგმიანი მუშაობა.

საჭიროა გაძლიერდეს კომკავშირის ხელმძღვანელობა. უნდა მოისპოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც კომკავშირი ვალდებულად არ სთვლის თავს იზრუნოს პიონერთა შორის მუშაობაზე და სხვა.

თუ იქნება ინტერესი და სიყვარული მესამე თაობისადმი, მაშინ იოლად გადავლახავთ ყველა დაბრკოლებას და პიონერთა ორგანიზაციას სავსებით აღვადგენთ.

ე. ელენტი.

ჩვენც ჩავატარეთ შაგათოგა

(სოფ. მათხოჯი, ქუთ მაზ.)

დილაა...

მზე თავის ოქროს სხივებს უგზავნის დედამიწას.

ცოტა ქარი ქრის.

მათხოჯის შვიდწლედის მასწავლებლობა ფაციფუცშია, დღეს შაბათობა უნდა ჩაგვატარებინონ. სრული 9 საათი იქნებოდა, როდესაც 200-250 მოწაფე სამუშაო იარაღებით მოვედევით დანგრეულ გზას და დავუწყეთ შეკეთება, ყველანი ერთგულად და სიცილ-ხარხარით ვმუშაობდით. დასვენების დროს შეკითხვებს ვაძლევდით ერთმანეთს.

— აბა, ბიჭებო, ვინ გასცემს ამ კითხვას პასუხს! — წამოიძახა ერთმა.

— სთქვი.

— ვინ ხელმძღვანელობდა ყინულის მჭრელ „კრასინის“ ექსპედიციას...

ყველანი გაჩუმდენ.

— სად სწერია ასეთი კითხვები? — ყველა ერთხმად შეეკითხა.

— სად სწერია და ჟურნალ „პიონერში“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ — იქ ასეთი კითხვები ბევრია.

ამ შაბათობით ჩვენ, მოწაფეობამ, რამდენიმე 100 მეტრი გზა გავაკეთეთ და ავტორიტეტი მოვიპოვეთ საქმიანი მუშაობით მოსახლეობაში.

კიდევ ფიქრობენ მასწავლებელნი ამაზე უფრო კარგი „შაბათობა“ ჩაგვატარებინონ მოწაფეობას.

სხვა მოწაფეებმაც უნდა მიჰბაძონ მათხოჯის მოწაფეებს.

კუკუ ძიძიგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდები ნახშირჟანგა აირზე

ნახშირჟანგა ბუნებაში საკმაოდ გავრცელებული აირია. მისი მოპოება ძლიერ ადვილია. ამისათვის შეიძლება მთელი რიგი საინტერესო ცდების მოხდენა.

სურათი 1. გამოხატავს ხელსაწყოს, რომლის საშვალებით იღებენ ნახშირჟანგა აირს. ბოთლს მოუძებნეთ მჭიდრო საცობი, რომელსაც შუა ადგილას ექნება ნახვრეტი და რომელშიაც ჩაუშვებთ შუშის მილს, უკანასკნელზე კი მიამაგრებთ რეზინის მილს; ბოთლში ჩაყრით ცარცის ან მარმარილოს რამდენიმე ნაჭერს, შემდეგ ჩაასხავთ შიგ რაიმე მჟავას (ძმარს ან გოგირდის მჟავას). მაშინ თავდაცული ბოთლიდან მილის საშვალებით დაიწყება ნახშირჟანგა აირის დენა. თუ კი ამ დროს რეზინის მილს ჭიქაში ჩავუშვებთ, ამგვარად დავაგროვებთ ნახშირჟანგა აირს.

სურათი 2. აჩვენებს წვის ცდას. გაავსეთ ჭიქა ნახშირმჟანგა აირით და შეთ ჩაუშვით ანთებული კვარი, შემდეგ რაც მოხდება, თქვენ თვითონ დაინახავთ.

სურათი 3. აჩვენებს იმ მდგომარეობას, როცა ჭიქის ძირში ანთებულია რამდენიმე სხვადასხვა სიგრძის სანთელი და მას აქრობს ნახშირჟანგა აირი, ჭიქაში ზევიდან ჩაშვებული. მაგრამ საქმე ისაა... ხომ არ იტყვით თქვენ. რატომ ხდება ასე?

სურათი 4. ნახშირჟანგა აირის ამოღება შეიძლება, როგორც წყლის. მარცხენა ჭიქაში იმყოფება ნახშირჟანგა აირი, მარჯვენაში კი ანთებული სანთელი. ჩაუშვით პირველში პატარა ჭიქა და იქიდან ამოღებული ნახშირჟანგა აირი გადაასხით მეორეში,—სანთელი უსათუოდ გაქრება. რატომ?



სურათი 5. ეს საინტერესო ცდაა, რომლისთვისაც საჭიროა წინასწარი მომზადება. მსუბუქი კარდონიდან გამოსჭრით რგვალ ბორბალს, ირგვლივ გაუკეთებთ ქაღალდის ჯიბეებს, შუაში გაუყრით სინას, რომლის თავებს მიამაგრებთ რაიმეზე. თუ ამ ბორბალს მიუშვერთ ჭიქას, ნახშირჟანგათი სავსეს, ბორბალი ატრიალდება.

სურათი 6. ნახშირჟანგა აირი უხილავია, მაშ როგორ უნდა გამოვარჩიოთ ერთმანეთისგან სხვადასხვა აირი? ამისათვის საჭიროა შემდეგი: მოამზადეთ კირის წყალი. ამისათვის ჩაყარეთ ბოთლში კირის ნატეხები, ცოტა ხნის შემდეგ დაინახავთ ბოთლის ყელში დაგროვილ გამჭვირვალე სითხეს. ეს იქნება სწორედ კირის წყალი. გადმოასხით იქიდან ეს წყალი ფართხილად სუფთა ჭიქაში და შემდეგ მას შეუერთეთ ნახშირჟანგა აირი და მაშინ თქვენ ნათლად დაინახავთ, რაც მოხდება. შეიძლება ისუნთქოთ მილის საშვალებითაც, რომელიც კირის წყალში იქნება ჩაშვებული და მაშინ კი მიხვდებით, თუ როგორ ჰაერს ამოვისუნთქავთ.

სურათი 7. თუ ნახშირჟანგა აირი ჰაერზე უფრო მძიმეა, შეიძლება მისი აწონა. მისი აწონა შეიძლება საწორზე, ამისათვის უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც ეს ნაჩვენებია სურათზე.

სურათი 8. ამ ორ ჭურჭელში აირებია. პირველში (მარცხენაში)—ნახშირჟანგას აირი, მეორეში—ჰაერი. გაბერეთ საპნის ბუშტი და ჩაუშვით ის მარცხენა ჭურჭელში, ბუშტი იცურავებს ნახშირჟანგას და ჰაერის საზღვარზე, მეორე ჭიქაში კი ბუშტი თითქმის ძირამდე დავა. შესცვალეთ ეს ცდა შემდეგნაირად: რეზინის მილის წვერი, რომლისგანაც ნახშირჟანგა აირი გამოდის, შეუერთეთ საპნის ბუშტის საბერავ მილს, მაშინ ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს: საპნის ბუშტი გაივსება ნახშირჟანგას აირით, მაგრამ საკითხია: საით გაფრინდება ეს ბუშტი—ზევით თუ ქვეით? და რატომ? უპასუხეთ, როცა ჩვენ საპნის ბუშტს ვბერავთ ჰირით, რანაირი აირით ვავსებთ მას და მეორე—ძირს რატომ ეშვება საპნის ბუშტი?

ს. ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1928 წ.

გამოდის — გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

→ ჟურნალი ←

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი III

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ეროვნული წევრის, ორგანიზაციის ეროვნული კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის ოთოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწეროს

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1929 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით.

წელიწადში	5	მან.
ექვს თვეს	3	მან.
სამ თვეს	1	მან. 50 კან.

ცალკე ნომერი 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი (შოთრე სართული). „პიონერი"-ს და „ოქტომბრელი"-ს რედაქცია.

რედაქტორი—**სარედაქციო კოლეგია.**

სახელგამის სტამბა. სომხის ბაზარი № 22.

მთავარლიტ № 2131. შეკ. № 726. ტირაჟი 1000.